




ურნალ „ჭეჭილისა“

I	სურათი. ფრინველებთა მეჯლისი . . . . .	386
II	ზარბაც ვანოს, ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	387
III	მუსიკის მოყვარული კატა, ქუდრაშვისი . . . . .	389
IV	დედოფალა (ანუ სინდიაფალა) ბიკოვილან . . . . .	390
V	ჯანიკო, პატარა მოსწავლის წერილები. მიხ. ბო- ჭორიშვილისა . . . . .	392
VI	წყაროს სიმღერა. ლექსი ი. სიხარულისა . . . . .	393
VII	თინა როგორ ჩაუვარდა ტყვეთ ავაზაკებს. (გად- მოკეთებული) ტასთავან . . . . .	401
VIII	პატარა ტარიელი, (გაგრძელება) ალ. ნათაძისა .	411
IX	სპილოს დღიურიდან, შემდეგი იქნება (თარგმანი) ანიჭის . . . . .	418
X	წვრილმანი: გამოცანები, ზმა, ანაგრამა, აკრო- ტიხი, რებუსი, ხალხური ლექსები და სხვა. . . . .	423
XI	მუხა, ლექსი შით მდგიმელისა . . . . .	426
XII	ორი ძმა. დასასრული (თარგმანი) ორაკლი ფერაძისა.	427
XIII	პირველ-ყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება. (და- სასრული) გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძისა. . . . .	434
XIV	მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან (უმარტივესი ცხოველე- ბი) ივ. თიკაძიძისა . . . . .	443
XV	მამა ფენელონი მეჯლისს ესწრება. ფრანგული- დან ან. წერეთლისა . . . . .	449
XVI	მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. მგზავ- რის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილ . . . . .	452
XVII	ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი). შემდეგი . . . . .	460

კუკილის 1913 წლის სელის მომწერლებს  
საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

**ჩვენი გეგმარები**



# ଶାହମାର୍ଗିଳାର ନାଥାର୍ଥେବାନି ଶୁଣନାଳୀ.

ପିତାରଙ୍ଗେ ମିଥିଗାନ୍ତ ଜୀଜାଲା,  
ଦାକ୍ଷତ୍ୟାରଙ୍ଗେ, ଗାନ୍ଧାରୀ ଯାନାମୀ..

୦. ୫.

ପୃଷ୍ଠା ୧୫୭ ପାତା ୧୯୧୩ ମସିମ୍ବର

◆ ବିଲାପିତାର ମେଲାପଦାରିତବ୍ୟା ◆

ପାତା ୧୫୭ ପାତା ୧୯୧୩ ମସିମ୍ବର

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପାତା ୧୫୭ ପାତା ୧୯୧୩ ମସିମ୍ବର



ଓରିନ୍‌ଵେଲେବନ୍‌ଦା ମେଜଲିସୋ.

# ଚାରମାଟ୍ଟ ଗାନ୍ଧାଳୀ!

(ହେଉଥିଲା ମହିନେ ଏହାର ପଦାଳିତିରେ)।



ରେ ଗାନ୍ଧାଳୀ! ବନ୍ଦେ, ବନ୍ଦେ!  
ନ୍ଯୂ ଚାରମାଟ୍ଟାଳୀ! କମରା ମିଳି!  
ବନ୍ଦେ କ୍ଷାରା! ଜାତକ୍ଷେତ୍ର କରିବି  
ବାଦିକିତକ୍ଷେ ବାଦିକିତିଲି!

ଶେଖେ ଫିରିଦାନ ବିନ ଗଲିମିଳି  
ଶେଖେ ଶେଇବୁ-ଚିମିଠିମ ବାଦମିଳିଲି!  
ଶେନ୍ଦ୍ର ଚିମାଳିକା, ମିର୍ବାଲିମ୍ବେ  
ଶେରିକ୍ଷାଲିବିନ ଫରତା-ବାଲିଲି.

ଶେଖେ ତୃପ୍ତିକି, ଅବଲି ତୃପ୍ତିକି,  
ଶେଲାଲିଜ୍ବା ମିନିଦ୍ଵରିତ ବ୍ରଦିରିଜ୍ବା;  
ଶେଲାଲିଜ୍ବା ରା ତାନ ଶୁଣିମି  
ଅନାଦାନକି ମିରାରିଜ୍ବା.

ରହେ ରା ରାମ୍ଭେ ଶେଖୁକ୍ଷିନାରି  
ଶୁଦିତ ରାଧାକ୍ଷିର ରେଧା-ଜ୍ଞା;  
କିନିକୁଳିବା ରା ନାଶିରି ଶୁଣିଲି,  
ଅର ଅରିବାଳି ମିରିତବିଲି ଲକ୍ଷ୍ମୀ.

ଶେନ କି, କ୍ଷେମି ବିଷ୍ଣୁନି,  
ବାଦିକିତିଲି ବାଦିକିତି କୁଳିଲି କାରି,

შენზე ზრუნავს დედმამა და  
მასწავლებელ-წინამძღვარი.

მაშ, ბეჭითათ ჩემო ვანო,  
გაახილე თრივ თვალი;  
გულის ური! გულის ური,  
თუ გსურს კარგი მომავალი!..

გ. ქუჩიშვილი.



# მუსიკის მოევარული კატა



ოთ ინგლისელის ოჭახში უცნაური კატა ჰქევანდათ. მას სიმღერა და მუსიკა მალიან უევარდა. გაიგონებდა თუ არა სიმღერას, ან როიალზე დაკრას, მამინვე გაექანებოდა და მომღერალის, ან დამკვრელის, პირ-დაპირ დასკუპდებოდა.


ერთ ბავშვს წესათ ჰქონდა რამ-დენიმე საათი დღეში დაეკრა. კატა იმ დროს გვერ-დიდან არ შორდებოდა, უერს უგდებდა. როცა დაკვა-რას გაათავებდა, კატა კნავილს მოჰქევებოდა. თუ ეუ-რადდებას არ ძიაქცვდენ, შეხტებოდა როიალზე და დაიწევდა სირბილს.

ამ კატას უველაზე მეტათ ერთი სიმღერა უევარ-და და გაიგონებდა თუ არა ამ ხმას, საცა უნდა ერ-ფილიეო, უმაღლ გაჩნდებოდა. მას უევარდა კიდევ თავის პატრონის სიმღერა. შეახტებოდა მუხლებზე, დაუწევებდა ლაქუცს და ლრუტუნს, როცა მომღერალი გაჩუმდე-ბოდა, კატა ალერსით მოუევებოდა ნიკაპზე ცაცუნს.

კუდრაჭა.



დიდი იუნიტის, შიგიძეს



## დედოფალი \*)



ხოველები მალიან უუ-  
ვარდა მამა ჩემს. მას  
ეოველთვის ჰეავდა ზა-  
რალა დათუნია, რომე-  
ლიც თვითონ რმით  
გამოეკვება, ან შეჩვ-

ული მგლის ბელი, ან ზღარბი (ბუწვი), რომელიც ეზო-  
ეს არხეინათ გაწოლილი იყო ხოლმე. მაგრამ უველაზე  
შეტათ მამას მეგობრათ ჰევანდა დედოფალა — ეს გრ-  
ძელი, წვრილი, პაწაწა ნადირი, ბეწვიანი კუდით,  
წვეტიანი დინგით და ჭკვიანი ცოცხალი თვალებით.  
დედოფალას ისე უუვარდა მამა-ჩემი, რომ არა შორ-  
დებოდა. რაც უნდა საქმეში უოფილიერ ის ან შხარ-  
ზე უჯდა მამა-ჩემს და ან მის სალათის განიერ სა-  
სელობი მვრებოდა. დამე მის ქვემსგებს არ შორ-  
დებოდა.

ზამთარში მამა-ჩემი სმირათ დადიოდა აქეთ იქით.  
მას ჰქონდა კარგათ მოწეობილი ჩასაჯდომი, რომელ-

\*) იმერეთში სინდიაფალას ეძახიან.

შიაც უსათუოთ მამასთან ერთათ მოიკალათ გებდა ხოლო  
მე დედოფალა.

მე ზავრობის დროს დედოფალა მიიმალებოდა ან  
მამასების ქურქის სახელოში და ან ჩასაჯდომის  
ღრმა პარები.

ერთხელ ჩასაჯდომი გზაში გატედა. ძლიერს ძლია  
ვობით სადგურამდის მიათრიეს და იქ დატოვეს. მა-  
მასახები კი სხვა ჩასაჯდომით გაუდგა გზას. ეს ამბა-  
ვი მოხდა დამე და მეორე ჩასაჯდომში რომ ჯდებო-  
და, დედოფალა სულ დაავიწედა. კარგა შორს რომ  
გაიარეს, მამასახემს ხოლო მაშინ მოაგონდა დედო-  
ფალა.

უკან დაბრუნება აღარ მოხერხდებოდა. მალიან  
დანანდა, მაგრამ რას გააწეობდა. მამასახემს ქალაქში  
ერთი კვირა მოუგვიანდა და მერე ისევ დაბრუნდა.  
საქმის დროს ისე ვერ ამჩნევდა თავის საუვარელ  
ბაწარწა ნადირის დაკარგვას, გზაში კი მალიან შეწუხუ-  
და. წარმოიდგინეთ რაჩაირათ გაეხარდა მამასახემს,  
როდესაც სადგურზე ჩაჯდომისას თავის ჩასაჯდომში  
იკრძნო, რომ კისერზე უცაცუნებდა მისი საუვარელი  
დედოფალა. თურმე დედოფალა მთელი კვირა დამა-  
ლული ეოფილა ჩასაჯდომში და ახლა გახარებული  
მამას კისერზე ეხვეოდა. რითი იკვებებოდა ამოდენა  
სანი — არ იცოდენ. უსათუოთ სადგურზე ბევრი კვერც-  
ხი დაიკარგებოდა და ბევრი თაგვებიც გაწედებოდენ  
— ამ დროის განმავლობაში.

(ბიკოვიდან)

— არა იუნიტად არამე ძღვენის არამეს კანი

# ჭანიკო

(შატარა მთხმავლის წერილები)

ჩემო საუგარელო დეიდავ!



ერ წარმოიდგენ რა მდგომარეობა —  
მი ჩამაჟენა დიდედამ. გუშინ, რო-  
გორც დავბრუნდი სასწავლებლიდან  
საჩქაროთ მოვსთხოვე სადილი, რა-  
დგან მლიერ მშილდა. საუზმე წა-  
ღებული მქონდა, მაგრამ მივეცი ჩემს ამხანავ დათი-  
კოს, რომელსაც ვახშამიც არ ეჭამა, არა ჭრონდა,  
საბრალოს, შინ არასფერი და ჩემი საუზმე მას სია-  
მოვნებით უთავაზე.

როდესაც სადილს შევექცეოდი დიდედა გვერდით  
მიჰდა, დაუინებით შემომცეკვერდა, თითქოს სურდა,  
მხედველობას მოკლებულ თვალებით, კარგად გაერ-  
ჩია ჩემი სახე.

— ეს მამალი როგორ ჩაუჟულა, თითქოს  
კვერცხს სდებდეს, წამოვიძახე მე.

— ნეტავ დასდებდეს და!!!?

— დიდედავ! მოზრდილა კვერცხს დასდებს?

— არა! მლიერ პატარას.

— მაშ რად ნატრულობ?

— ეჭ, შენ არ იცი, დაიწეო ჩლიფინი დიდედამ,

მამალი რომ კვერცხს დასდგის შიგ მარგალიტის თვალი იქნება, ამ მარგალიტით რასაც ინატრებ, უკულივე ატისრულდება.

როგორც გავათავე სადილი იმ წამსვე მივარდი მამალთან. ადგა, ამაუათ შემოსმახა „ეიულიეოო“ და აიუნიდან გადაფრინდა.

მამლის კვერცხის ამბავმა გონება ამიმდვრია, მიღიც დამიფრთხო, ჩემი სურვილი იქო რაც შეიძლება მალე მეპოვნა მამლის კვერცხი.

— აბა, დათიკო! ამ გამოცანის გამოევანას ში დამეხმარე და იგეთს რასმეს გასწავლი, რომ მენი სიღარიბე წეალმა წაიღოს,— ვუთხარ დღეს და თიკოს გაკვეთილის დროს. საბორალოზე ისე იმოქმედეს ამ სიტუაცია, ისე აუმდვრიეს იმასაც გონება, რომ რთულ გამოცანას კი არაურთხელ ერთი რამდენი არისთქო, რომ გეკითხა, ვერ გინასუხებდა. გაკვეთილის შემდეგ უკელა ბავშვები ჩემ წინ მოგროვდენ და განცვიფრებით მისმენდენ მამლის კვერცხის ამბავს.

— სიცორუე იქნება — წამოიძახა ერთმა ბავშმა.

— მასწავლებელს შევგეთხოთ?

მასწავლებლის ფერმკრთალ ტუჩებზე ოდნავ და მიღი გამოიხატა.

— ვინ გამცნოთ ეგ ამბავი?

— დიტომ.

— ეგ სიცორუეა, ბავშვები! შეუძლებელია მამალუმა კვერცხი დასდოს. აი თქვენი მვირფასი მარგალის ტი — გვითხრა მან და წიგნი გვიჩვენა.

ეპეთი უბედურება შემამთხვია საუგარელმა დიდებამ. დეიდა! მე ბეჭითად ვსწავლობ, მხოლოთ ანგარიში მიძნელდება, მაგრამ მალე გავიწვრთნები. ფიქრი ნუ გაქვს კარგათ ვისწავლი, მედამ მასსოვს დედის უგანასკნელი სიტუაცია: „ისწავლე ბეჭითათ, საუგარელო შვილო, და დედის ძელები სიამოვნებას იგრძნობენ ცივ სამარებიო“. ვისწავლი, ვისწავლი ჩემო დეიდავ!

შენი დიტო!

ჩემო საუგარელო დეიდავ!

ვიძ, რა მშვენიერი დილა იუო! ნელი სიო საამურათ არხევდა ჟვავილებზე ცვარანამს და მსუბუქ ფრთებით, მთის კალთებზე გაწოლილ ნისლს მაღლა ცის სივრცეები იტაცებდა. ვით ნაკადული მედიდურათ დაეძვნენ მთის მწვერვალიდან მზის ცქრიალა სხივნი. ვიძ, რა საამური დილა იუო. მე კი, მვირფასო დეიდავ! ბევრი ვიტირე, გული მოძიკლეს ბოროტა ბავშვებმა, ბევრი ცრემლი დამაფრქვევინ ეს.

ვიდორე მასწავლებელი მოვიდოდა თავისუფლათ დავრბოდით ეზოძი. სკოლის გვერდით გზაზე გამოჩნდა ებრაელის ბავშვი, გაზრდაცვდენ უფროს განუოფილების მოსწავლენი, შეუკრეს გზა — აჲ, შე ურია, შე ურჯულო! შესძახეს ერთხმათ და წამოესივნ საბრალო ებრაელს.

— ვაძე! ნუ მოძიკლაგთ! სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა საბრალომ და დონე მიხდილი ჩაიკეცა. ვერ გაუძელ ამ საძინელ სურათის ცქერას, თავდაც ვიწევებით შევიტერ ბავშვების ბრბოძი.

— არ გებრალებათ? რისთვის სცემთ?

ერთს მხარეზე, როგორც იქნა, გავანთავისუფლება. ამ შემთხვევით ისარგებლა საბრალომ და გაიქცა. ებრაელი გავანთავისუფლება, მაგრამ ჩემი თავის იმედი ამაო იყო, მოძრვინდენ და დამიწუეს ცემა.

— კარგი! თავი დავანებოთ, თორებ დაგვაბეჭებებს ეგ აბეზარი...

ჩამომშორდენ... ჩამოვჯექ ჭანდარის ხის მირას და მოვუევი ტირილსა. უურადღებას არვინ მაქცევდა...

დეიდავ! ეპელა ბოროტი გულისა არ არიან, განსაკუთრებით ჩვენთან მოხწავლე პატარა ჭანიკო. ის ისეთი გულებრივი, ისეთი მოსიუვარულე არის, რომ ვერ წარმოიდგენ რა რიგ მიუვარს. როგორც დამინახა მოვიდა ჩემთან, ცხვირსახოცით ამომწმინდა ცრემლები და მითხრა:

— ნუ სტარი, დიტო!

— ღმერთო! რა ღრმათ ჩასწვდენ მისი ნაზი ხმები ჩემს გულს, დავეხსენ ტირილს, ჩავკიდე ხელი ნაზ თითებში და ერთად წავედით ეგვილების საკრეფათ, გვსურდა შეგვეგონა ის თაიგული და მასწავლებლისთვის მიგვერთმია, მაგრამ როდესაც ძაფით კრივდით გამოირბინა ერთმა ბოროტმა ბავშვმა და ხელის დაკრით დაგვიბნია მთელი უგაბილები. კვლავ ცრემლებით ამევსო თვალები. მსურდა მეტირნა, მაგრამ ჭანიკომ ჩამკიდა ხელი და მითხრა:

— ნუ დაღონდები ჩემო დიტო, წავიდეთ სკოლაში.

მასწავლებელი მოსული დაგვხვდა. დამნაშავე

ბავშვები ფერმერთალი იდგენ სასჯელის მოლოდინში, ეგონათ დავაძეზედებდი მათ, მე მოკრძალებით მივესალმე მასწავლებელს და ჩემს ადგილზე დავჭექ. ცუდათ ხომ არ მოვქცეულვარ, ჩემთ დეიდავ? რომ დამებეზედებინა მასწავლებელი დასჯიდა მათ, მაგრამ ამით მე რა მომემატებოდა! ბავშვებს მტრათ გავიხუდიდი, განა! მოგიკითხა დიდედამ, საეგარელო დეიდავ!

**შენი დიხო.**

ჩემთ საეგარელო დეიდავ!

სკოლაში წასვლის წინ, ლოცვის ღროს ადარ ვევედრები ღმერთს სწავლაში ბეჭითი და ნიჭიერი გამხადოს. არა, ჩემთ დეიდავ, ეხლა როდესაც მუხლა მოდოეკით ვდგევარ ხატის წინ, ჩემი ტუჩები მხოლოთ ამას ჩურჩულებენ: განჭკურნე საბრალო ჯანიკო. გთხოვ, გმვედრები ღმერთო, მალე დაგვიბრუნო სკოლაში ჩვენი საეგარელი ჯანიკო. ვერ წარმოიდგენ რა რიგ მაღონებს ჯანიკოს ავადმყოფობა, სასწავლებელშიაც უზალისოდ დავდივარ.

დღეს მასწავლებელთან ერთად ვიუავი ჯანიკოს სახლში, თან წავიღე მშვენიერი თაიგული ეპაზილებისა. საცოდევათ მოკრუნჩხელი წევს, დიდონი თვალები ჩაღრმავებია და მშიმრათ გამოიურებიან, მის ნაზ ტუჩებს უსიამოვნო ლურჯი ფერი გადაჰქორია. ენას ოდნავ ამომრავებს, სუნთქვა უგუბდება. თავით უზის საბრალო დედა და მალულათ აფრქვევს ცრემლებს.

— მოხველი მვირფასო მასწავლებელო? მოიუვანე ჩემი მეგობარიც! გმადლობთ! მრიელ მენატრე-

ბოდა თქვენი ნახვა. ეგ თაიგული მე მომიტანე? გა-  
შალე და მოჭყინე ჩემს ბალიძეს.

ათროვლებული ხელით მოვაულე კვავილები  
ირგვლივ მის თავს. ღმერთო! ღმერთო! მომავინდა  
იქსოს სახეც, კვლის გვირგვინ ქვეძ, ვერ მოვითმინე,  
ცრემლები მომსკრდა ნაკადულივით. წამოსვლის დროს  
შევამჩნიე მის გამხდარ ლოუებზედაც წამოცურდა ნელ-  
ნელა ობოლი ცრემლი.

— ბატონო მასწავლებელო! მალე მორჩება კა-  
ნიკო? დავვეკითხე გზაზე.

— აბა რა გითხრა, ბავშვო! მნელია! მნელია  
მისი მორჩენა.

— განა უოვლათ შემსლებელი ღმერთისთვის  
მნელია მისი მორჩენა?

— წადი შინ, ბავშვო, მონასე შენი ტოლნი და  
ითამაშე.

— ჩემო დეიდავ! ვერ ავასრულე მე დღეს მას-  
წავლებლის ბრძანება. როდესაც შინ დავბრუნდი თა-  
მაშობის ნაწვლათ მუხლ მოდრეკით დაგემხვე ჩატის  
წინ და მდუდარე ცრემლებით კლოცულობდი.

#### დიტო.

ჩემო საუვარელო დეიდავ! ჯანიკო გარდაიცვალა.  
ამ ამბავმა უკელანი შეგვაწუხა. ჩვენი მასწავლებელიც  
აატირა.

— ბავშვებო! გამოგვაკლდა საუკეთესო ბავშვი,  
ჩვენ ვალდებული ვართ მივაცილოთ ის სამარემდის  
და განუგემოთ მისი ბედკრული დედა. ასე გვითხრა

მან. — ეხლა თქვენთან მეცადინეობის თავი არა მაქვს. დაჭვრიულეთ მინდორში უვავილები და მოიტანეთ, იმ უკავილებით შევამჯოთ ჩვენი ჰაწია მეგობარი.

ეველანი გაიქცენ, დაცარიელდა სკოლის დარბაზი, მარტო მე დავოჩი.

— შენ რად არ მიხვალ, დიტო?

— ბატონო მასწავლებელო, მე მინდა გთხოვოთ... დამიწერეთ ორიოდ სიტუა კუბოზე წასაკითხათ, როგორც იციან უოგელთვის...

— კარგი! კარგი.

—

მშენიერი გვირგვინი დასწნა მასწავლებელმა... წავედით უველანი ძვირობასი ჯანიკოს დასამარხათ. ჩვენი მომღერალთა გუნდი სევდიანი ხმით გალობდა. შიშის ურუანტელს ჰეგრიდა ირგვლივ ჯანიკოს დედის მწარე ქვითინი. ფრინვლებმაც კი შესუწყიტეს მხიარული ურიამული.

— აბა, წაიკითხე შენი სიტუა!

„ულმობელო სიკვდილო!“ ამოვიძახე და ხმა უელმი ჩამიწედა, ძალა აღარ შემწევდა გამეგრძელებინა, იქვე ჩავიკეცე და ხმა-ძაღლა ტირილი დავიწე. აღარ მიუურებია ჯანიკოს დასაფლავებისათვის, წამომიუვანეს სახლში.

ჩამოდი ამ ზაფხულს მაინც ჩვენთან, ჩემო დეიდავ! დიდედა მალიან მოძლურდა და გვერდით საუვარელი არავინა მეავს, რომ დედობა გამიწიოს.

დაგიკაცნი ხელებს და მოგელოდები.

შენი დიტო.

(დასასრული)

მიხ. ბოჭორიშვილი.

მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის მცდელი

## წეართს სიმღერა.



თისა შვილი ცელქი წეართ  
მთის მკერდიდან ლაღათ მოსჩეფვს,  
მოჩხორიალობს, მოცქორიალობს,  
ირგვლივ ფანტავს კამკაძა შხეფვს,  
მიხტის, მირბის... თანაც მდელოს

გოლგით დამწვარმონაწეურებს  
თავს ეპლება, ტუჩს უგრილებს,  
შვების ცრემლებს მკერდს აპკურებს;  
თან იმღერის: „მთის წიაღში  
დავიბადე, მოვჩეფ ლაღათ,  
რომ მირს ბარი გავაღვიძო,  
აფაეგავო, შევქმნა ბაღათ;  
როს დილის ქამს დანამუდი  
მდელო ცისკარს ღიმილს სტაცებს,  
და ეგავილებს შხისა სხივზე  
ნამთ ცქრიალი აწარმოტაცებს;  
როს ნიავი გაიღვიძებს,  
ფრთებს შეარჩევს, ჩამიქროლებს,  
ჰირს დაიბანს ჩემს ტალღებში,  
ემბაზს ფრთებით ამიჩქროლებს;  
— აგტოპდები, ვიწევბ ჩხრიალს,  
მიკიფანტავ გზა-გზა წინწკლებს,

მზეს მოკრძალვით გუმბღნი სალაშს,  
დავუკოცნი სხივთ-ნაპერწკლებს,  
და შევძახი: მზევ, დიადო!

შევაერთოდ ღონე, მალი,  
მე ხნულს მდელოს უხვად მოკრწეავ,  
შენ დაბუგე ნარ-ეკალი.

მაძრალს სულ რომ არ სტანჯავდეს,  
არ უხდენდეს ნათესს, ეანას,  
ნიავის ჩვენ ხელს შეგვიწყობს,  
ეანას ქროლვით ეტევის ნანას“!

ასე მდერდა ცელქი წეარო,  
არე-მარე უგდებდა უურს.

ი. სიხარულიძე.



# თინა როგორ ჩაუვარდა ცეკვით ავაზაპებს.



(გადმოკეთებული).

ინა ცრემლებით იღერებოდა. დედა ამის მეტათ არ მოძორებია. ახლა სიდღაც წამლობისთვის წავიდა და პატარა თინა ბებია სალომეს ჩაბაბარეს. ბებია! სალომე ამშვიდებდა თავის გოგონას, სათამაშოებს ჭრიდებოდა და ბოლოს სახაბრაკოთ გაემგზავრენ.

თინა ოომ მიიჟვანეს ახალ ბინაზე ცოტა გამოცოცხლდა. ზგარაკი მშვენიერ ადგილზე იუო ამართული, ხშირი ტუე გვერდით ედო. სამი პატარა ლამაზი ოთახი სამზარეულოთი იუო გარშემორტებული ღობით.

ბებია სალომეს მოსამსახურეთ ჭუავდა მოხუცერ ბული ქალი ეფრო, ოომელიც მთელი ღღე მუშაობდა: სადილს ამზადებდა, ჭვერდა, სწმენდავდა, უკლიდა მოუძლურებულ და ავათმეოფ სალომეს და თვალუერი ეჭირა—თინა ეზოს არ მოძორებოდა, შორს არსად წასულიერ.

პატარა, ექვსი წლის თინა ჯერ კმაულფილი იუო აგარაკით, გულს იჯერებდა ეზოში თამაშობით, თავის დედოფლებს ხუსულებს უშენებდა, ასეირნებდა მათ,

ბაღებს უკეთებდა, მიგ სეებს რგავდა. შაგრამ მალე  
მოძეზრდა ამ გვარი დოოს გატარება და სულ ტეის-  
კენ გაიურებოდა. აქ თუ ერთ ჰეპლას გამოუდგე-  
ბოდა, აქ თუ ერთ-ორ ჩიტს დაინახავდა — იქ ტეეში  
რამდენი იქნებოდენ, რა მხიარულობა უნდა იყოს.  
მართალია ისიც იცოდა, იქ ნადირი ბევრი უნდა ერ-  
ფილიერ, ავაზაკებიც უსათუოთ ბლომათ იქნებოდენ  
და ბავშვს შიშის ზარი სცემდა.

\* \* \*

ერთსელ, სადილ შემდეგ, თინა მარტო დარჩა. ბე-  
ბიამ დაიმინა, ეფრო შევიდა სამხარეულოში ჭურ-  
ჭლის დასარეცხათ და თინას დაუბარა:

— არამც და არამც ეზოდან ნუ გახვალ, საში-  
შია, აქ ითამაშე, აი დაიჭი ეს ორი ქადა და კამჯეტები.  
თინა დაჯდა ლობის მირას და მოჰქევა დედოფლის  
მორთვას.

ამ დოოს ლობეს მოუასლოვდა ერთი ჰატარა ბი-  
ჭი, მას მხარზე უჯდა ერთი ცუცქნა მაიმუნი.

— ჰატარა ქალბატონო, მაიმუნს გათამაშებ, ორია-  
ოდ გროში მაჩუქე.

თინას გაეხარდა, მაშინვე გაუწვდინა ვერცხლის  
შაურიანი. ბიჭმა ჩამოსვა მირს მაიმუნი, დაიწეო სი-  
მლერა და მაიმუნზე მობმულ თოკს აქეთ-იქით სწევდა.  
მაიმუნი მოჰქევა სტუნვას და ცეკვას.

თინას მოუნდა მაიმუნის ახლო ნახვა და გა-  
მოვიდა ეზოდან.

მაიმუნი მალიან ლამაზი, ჩუმი და მოალერსე  
იყო. თინას სელიც კი გაუწვდინა გამოსართხოვრათ.

ბიჭმა მაღლობის ნიშნათ თავი დაუკრა, მაიმუნი  
შეისვა ისევ ჟურგზე და გაუდგა გზას.

\* \* \*

თინა დარჩა ღობეს გარეთ, ღიდანს გაიერებო—  
და აქეთ იქით, ბოლოს გაიღიმა და თავის-თვის თქვა:

— მერე რა არი აქ საშიძი... დახეთ, აქ რამდე—  
ნი უვავილები უოფილა. ბებიას მოუკრევ, როგორ  
გაეხარდება!

და თინა მოჰყვა მსიარულათ უვავილების კრეფას—  
მერე უცხათ თვალი მოჰყრა მშვენიერ უვითელ წინწ—  
კლებიან შავ პეტელას. გამოუდგა მას დასაჭერათ. ის  
იუო ხელი უნდა მოეკიდნა, რომ პეტელა აფრინდა და  
სხვა უვავილსე დაჯდა. თინა გაეკიდა პეტელას, ის  
კიდევ უფრო შორს გაფრინდა. თინა თავს არ ანე—  
ბებდა, ისე რომ ას ნაბიჯზე მოშორდა თავის ავა—  
რაკს.

თინამ მიიხედა უკან, მათი სახლი ისევ მოჩანდა,  
რისა უნდა შეშინებოდა და განაგრძო პეტელას დევნა.

ბავმეი უკვე ტექმი გაჩნდა. უცხათ მოესმა რაღაც  
შრიალი. თინა შეშით გაშრა...

ბუჩქებიდან გამოვარდა ნაცრის ფერი დიდი გურ—  
დღელი და უურებ აცქვეტილი შედგა მის წინ.

კურდღელი დააცქერდა თინას, მერე თითქოს  
რაღაც გაიფიქრა, უურები შეიბერტეა და წენარათ,  
ლაშლაზით გაუდგა გზას.

— მე მეპატიუება, უსათუოთ აქ ახლოსმახლო  
სორო უქნება, მისი ოჯახი იქ იქნება.

კურდღელი ჯერ ნელასნელა მიდიოდა, თინას

თვალს არ აძორებდა, მერე ფეხი აუჩქარა, თინა კა-  
მოუდგა...

კურდღელს შეეძინდა, მოჭყურცხლა და მერე ისე,  
რომ მის კვალი აღარ ჩანდა.

თინა საშინლათ მოიდალა, ოფლი წურწურით  
ჩამოსდიოდა შებლზე.

— საძაგელი კურდღელი! აკი არ მომდალა!  
თქვა გულაკლულათ თინამ.

\* \* \*

თინამ გარშემო მიიხედა მოიხედა, შეძინდა. მათი  
სახლი ადარსაიდან მოჩანდა. მის გარშემო ბუჩქები  
და ხეების მეტი არა იუო რა. სიჩუმე სუჯევდა. მო-  
ისმოდა მხოლოთ ფოთლების შრიალი და შორიდან  
ფრინველების ჟიკჟიკი.

თინა შედგა ერთ დიდ მუხის მირას, თვალებზე  
ცრემლები მოადგა, ხმა მაღლივ დაიწეო ტირილი,  
მერე უვირილს მოჭევა:

— ბებიავ, აი ბებიავ! სადა ხარ ჩემო ეფრო,  
მოდი ჩემთან!..

თინა უფრო შეძინდა, როდესაც უცდათ ხის ტო-  
ტების ტკაცასტკუცი მოესმა, ვიღასიც სუნთქვა და  
იმავ წამს ხიდან ვიღაც ჩამოხტა, თინასთან მივიდა  
და სასტიკათ შეჭევირა:

— დაჩუმდი შე უბედურო! არ გაგვიგონ, არ გვი-  
პოვონ!

თინა შიშით ქანგალმა აიტანა, ხმა ჩაკმინდა. მო-  
იხედა, მის წინ იდგა წითელი წოწოლა ქუდით, უმაწვი-  
ლი, ხელში ეჭირა გერცხლის ფეროვანი ხმალი და  
მხარზე თოფი ჭერნდა გადაგდებული.

თინამ ძლივს მოახერხა წამოეძახა: ვინა სართ?

— მე განთქმული ავაზაკი საიდაბლი ვარ! ნუ სტირით, — არ გაგვიგონ! თქვენ ახლა ჩემი ტექნი სართ.

\* \* \*

თინა შეკრთა, დაიწია უკან, მერე ცოტა დამშვიდედა და და თქვა:

— თქვენ ავაზაკი სართ? ეგ შეუძლებელია...

— მე ნამდვილათ ავაზაკი ვარ, საიდაბლი! შეუზოგრათ წამოიძახა უძარვილმა, — და აი აქ, ამ მიურუებულ ტექნი, ამ სეზე ვცხოვობობ!

— მაგას რას ამბობთ! სეზე ცხოვობობთ? გაკვირვებით დაეკითხა თინა — მერე დიდი სანია რაც მაგ სეზე ცხოვობობთ?

— არა... დიდი სანი არ არი... შეკრთა ავაზაკი — მე აქა ვარ... დღეს დილიდან... სახლიდან გა მოვიქეცი, მომბეზრდა გაკვეთილების მომზადება, ამოცანების გაკეთება, სწავლა... აქ კი თავისუფლათ ვიცხოვონ, არაფერს არ გავაჟონებ... დავეცემი სოლმე გამვლელ-გამომვლელებს... აი, დღეს სომ შენ ჩაგია გრე სელმი.

თინა თრთოდა, შიშით აქეთაქით გაიურებოდა.

— მერე რას მიზამ? გრძალვით წაიბუტისუტა თინამ.

— მე შენ გაგცარცვამდი, მოგელამდი... მაგრამ მებრალები. ეს არი ახლა სომ გადაგარჩინე საშინელ ნადირს... სედავ, რა მოწეალე ვარ! დე, იცოცხლე, ჩემი ამსანაგი გახდი. მე შენ მფარველობას გაგიწევ... უჭი... რა ნაირათ მომშივდა...

თინას მოაგონდა, რომ ჯიბეში ქადები უწევია.

— თუ გნებავთ, უთხრა მან მორიდებით,—ქადას ჰოგცემთ.

— მომე... მომე ჩქარა... გასარებული წამოიძა-სა „ავაზაკმა“.

— მე კამუჯეტებიცა მაქს.

— ეგეც მოიტა... ჩვენ მძვენივრათ ვისადილებთ. უმაწვილები დასხვენ მუხის ქვეშ და მოჭებენ ჭამას.

— თქვენი აგარაკი სად არი? ჭყითხა თინამ.

ავაზაკმა საიდ-ალიმ მედიდურათ მხრები აიწია.

— რა აგარაკს კითხულობ! ჩემი ბინა შორს არის, ათასი ვერსტის სიმორეზე. მე დილიდანვე წამოველი, ათასი ვერსტი გადავიარე და გავჩნდი აქ, ამ გაუვალ ტექში, უველასაგან მომორებული.

თინამ თვალები დააჭირა...

— როგორი ჩქარი და ბევრი სიარული გცოდა ნიათ, თქვა მან,—მე რომ ბაღში ცოტა გავიქცე, მა-მინვე დავიღლები! მერე არ გეშინიანთ აქ რომ მარ-ტო სართ?

— მე თავის დღეში არაფრისა არ შემშინებია. დიდგულათ მიუგო ავაზაკმა საიდაბლიმ.

სადილ შემდეგ ჰატარა „ავაზაკი“ და მისი „დე-დოფალი“ მოჭევენ თამაშობას, დარბოდენ, კრთმანეთს იჭერდენ. მერე „ავაზაკი“ აცოცდა ხეზე და უჩვენა თინას როგორ მარდათ ხტოდა ერთი ტოტიდან მეო-რეზე სწორეთ თრითინასავით.

ემაწვილები მალიან მსიარულობდენ. დრო სის-წრაფით გარბოდა:

მზე ჩავიდა, დასავლეთიდან დაიძრა შავი ღრუ  
ბელი, ტექნიკ ჩამობნელდა, წამოვიდა ბურუსი, უც  
ბათ აგრილდა.

— ღმერთო ჩემთ რა მეშველება, წამოიძახა თა  
ნამ,—დადამდა, ბებია ჩემი უსათუოდ დამემებს! უნდა  
საჩქაროთ გავიქცე!

— რას ამბობ, სად უნდა წახვიდე? არ გაგიშვებ!  
შეწუსებული წამოიძახა „ავაზაკმა“ და თან ხელი მაგ  
რათ დაუჭირა.—განა იცი გზა?

თინამ ნადვლიანათ მიიხედ-მოიხედა.

— მგონი, აი იქიდან მოველ! და გაიშვირა ხელი.

— არა, ნუ წახვალ! სწრაფათ წამოიძახა „ავა  
ზაკმა“—შენი გარაკი ახლოს უოფილა... მე რა მე  
შეველება, მარტო რომ დავრჩე!

თინას სამინდათ შეებრალა საწუალი „ავაზაკი“  
საიდაალი, ის მის წინ იდგა გამტერებული, დაფან-  
ტული, ის იუო ტირილს აპირებდა.

ტექნიკ სულ ჩამობნელდა. შორიდან მოისმოდა  
ქუხილი... თინა გრძნობდა, რომ ტექნიკ დარჩენა შეუ-  
ძლებელი იუო და წამოიძახა:

— იცით რა გითხრათ, ბატონო „ავაზაკო“, წა-  
მოდით ჩვენსა. ბებია ჩემი კეთილია და გარგათ მი-  
გიღებთ.

„ავაზაკმა“ თავი ჩაღუნა.

— წავიდეთ, წაიბუტბუტა მან, მეტი რა გზაა!..  
ოდონდ მარტო ნუ გამიშვებთ.

თინამ ძინისქენ გაიხედა და სიხარულით შეჰვერია.

— დახე, დახე მწვანე სინათლეს, ბებია ჩემის  
ოთახიდან მოჩანს, მივუეთ მას.

თინამ ძარღათ ძოჭყიდა ხელი ამ საშიშ „ავაზაკს“ და გაუდგა გზას.

ჯერ ასიოდ ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ ბნეულაში მოქმედათ ფოთლების ძრიალი და ვიღასიც ქმინვა. უცბათ წმუკუნით გამოვარდა ბუჩქებიდან რა ღაც ბან ჯგვლიანი არსება.

— ვაი, ვაი, მიმველეთ, დაიუვირა „ავაზაკმა“ და მიწაზე ჰირქვე გაიძხლართა. თინამ კი სიხარულით ტაში დაჭერა და წამოიძახა:

— ჩემო კადო, კარგო კადო! და გადაეხვია ბან ჯგვლიან არსებას. მერე მიბრუნდა ემაწვილისაკენ და უთხრა: — ადეგით, ბატონო „ავაზაკო“. ეს ბებიას ძალია. ჩვენ აღარა გვიშავს რა!

ძაღლი მხიარული უეფით გაუძლვა წინ ემაწვილებს. ხან წინ მოექცეოდა, ხან უკანკე დაბრუნდებოდა, თითქოს ეძინოდა რომ ეს ცუდლუტები არ ჩამორჩენოდენ, არ გაგცეოდენ.

მალე მიუახლოვდენ სახლს. თინამ სიხარულით შესძახა:

— ბებია, ბებია, მოვედით! სადა საარ ჩემო ეფრო.

და თინა ჩამოეკიდა ბებიას კისერზე.

— ღმერთო შენ მაღლეს! ძლივს არა გნახე, ჩემო გვრიტო! წამოიძახა სიხარულით ბებიაძ. — არ ვიცოდით სად გვეძებნე... გვეგონა რამე უბედურება და გემართა.

— ახ, ბებია ჩემო, რომ იცოდე, მე ტევეთ ვისავ ავაზაკებთან... აღელვებული ხმით ამბობდა თინა.

— აი, ერთი ავაზაკოანი, საიდაბლი, მოვიუვანე.

ბებიამ ღიძილით აათვალისათვალიერა პატარა „ავაზაკი“ და წამოიძახა:

— შენ ხომ არ დაგეტებენ დილას აქეთია? ჩვენ-თანაც შემოვიდენ მოსაკითხათ.

„ავაზაკი“ იდგა ბებია ჩემის წინ ჩუმათ, გაწით ლებული, შერცხვენილი.

— წამოდით ჩაი დაგალეჭინოთ, გახმამი გაჭა მოთ, თქვა ბებიამ, — უნდა შევატეობინო ამ უმაწვიულის დედობასას, თორებ საწელები დაემებენ. ავდარიც მოდის, ხედავთ!

ჩაბნელებულ ტეის შემდეგ რა მშვენიერობა იუო განათებულ ოთახში. „ავაზაკმა“ უკუაგდო მაშინვე თავისი ხმალ-თოფი და თინას მოუჯდა გვერდით.

რა კინდა სულო და გულო რომ სუფრაზე არ იუო.

— რა ნაირათ დამშიებული ვართ.

— ჯამეთ, გამეხით. კიდევ კარგი რომ ტექში არ დაკარგეთ გზა, ნადირი ხომ შეგჰამდათ...

ამ დროს შემოვიდა „ავაზაკის“ მამა, მან ბოლიში მოიხადა ბებიის წინ, რომ ასე გვიან მოდის თავის მოუსკენარი, ანცი ბიჭის წასაუვანათ.

— მე შენ გიჩვენებ სეირს! უთხრა მუქარით შვილს.

თინას ეგონა, მამა უპირებს ცემასაო, წამოვარდა ზეზე და გადაეღობა.

სელი არ ახლოთ მავას. მან გადამარჩინა დიდი, დიდი ნადირისაგან... რომელსაც ისეთი დიდი უურები ჰქონდა, ისეთი...

— არა, ნუ გეშინიან, არაფერს გერჩი, უმაწვიუ-

լռ, ովքա ջորսը կա իյմը զալլուրը շոմ քաւ  
սակած.

յմանցուն մաման դուռ մագլոթ զարայեա ծյա  
ծուն քա և սպիտուու բանցան և սպլիու, շոմ սպաւու  
առ մոյեիրու.

դու սպն առ քայությունն ունեւ շոմ կողուր հայրան  
քա թյաւու պայտագեցն է.

Ճառ.

— իյմը զաւ, յան զաւ! քա կույսուի մագլոթուն  
ուն զաւուուն պայտագեցն է յուժան. մասն ուն ուն  
մասն առ կույսուն պայտագեցն է յուժան.



— կույսուն զա մացուն! մացուն զա չափանիկն  
զա չափանիկն պայտագեցն է յուժան. մագլոթուն  
զա պայտագեցն... զա պայտագեցն է յուժան. մագլոթուն  
զա մացուն պայտագեցն է յուժան. մագլոթուն  
զա պայտագեցն է յուժան. մացուն պայտագեցն է յուժան.  
ուն պայտագեցն է յուժան. ուն պայտագեցն է յուժան.

# პატარა ტარიელი

(შემდეგი)



ტარიელის თავ-გადასავალი.

აუზმის შემდეგ ახლა ტარიელი აუტუ-  
და შარმაზანს: არ იქნება, მეც უნდა  
წავიდე და ჩემი თვალითა ვნახო  
ეგელა ის, რაც ჩემმა უფროსმა  
მმებმა ნახეს! შარმაზანი ეხვეწა,  
ემუდარა: ნუ წახვალ, კერ ძენ პა-  
ტარა ხარ, ძალა არ შეგწევს, გამ-  
ჭრიახობა გაკლია, რაიმე ხიფათს გადაიკიდებ, მეც  
დამწომ შენი ცოდვითა და შენც დაიღუპავ თავ-  
საო. ტარიელმა იწეინა ეს სიტუაცია და უფრო და-  
ჟინებით სთხოვა გაძვება. მეტი რა გზა იუ: შარმა-  
ზანმა გამოუვანა ცხენი, მეუკაზმა, მოურთო, ევე-  
ლაფერი გაუმეორა, რაც უფროს მმებს და გზა დაუ-  
ლოცა. ტარიელი მოხდენილათ მოახტა ცხენს და  
გაუდგა გზასა.

ძალე გავიდა დანიშნულ მინდორზედ; იქ ახლო  
რომ გორაკა იუ, იმ გორაკასთან მივიდა; ცხენს  
აღვირი წაჟარა, შებერტეა, როგორც ნათქვამი ჰქონ-  
და და იმ წამსვე გაჩნდა ჭავიცხენი, მაგრამ ისეთი

მჭღე და გამხდარი და ისეთი უშნო, რომ მისი და  
ნახვა უკელას შეზარავდა. მზე რომ ჩავიდა ჭავმა  
კვიცი მოიგო; იმ წამსვე გაჩნდა უზარ-მაზარი გვის-  
ლაშაპი და, როგორც კი გააღო ხახა კვიცის გადა-  
საელაპავათ, ტარიელმა იძიძვლა ხმალი და ისე  
მარჯვეთ ჩაარტვა, რომ გველაშაპმა იქნე სული  
გაანთხია. სისხლის მორევი დადგა... ტარიელი მო-  
აჯდა იმ ჭავცხენს და მალე მიადგა მეორე მინდოონს,  
სადაცა სმოვდა მშვენიერი ჯიშის ცხენების ჯოგი.  
სწორეთ სამხრობა იქნებოდა, რომ საიდლანაც გაჩნ-  
და ასი მეომარი და დაერია ცხენებს. ტარიელმა შე-  
უვირა: — რა უფლება გაქვთ, რომ სხვის ცხენებს  
უცემით და გინდათ წაასხათო! მეომრებს გაეცინა ამ  
ჰაწაწინა ბიჭის სიტყვებზედ და უურიც არ ათხოვეს.  
გაგულისდა ტარიელი, გაბრაზდა, დაერია მეომრებს და  
სათითოთ უკელას თავები დააჭრა; თავები ცხენებს გა-  
მოაბა და ისე გარეკა. ამ გაუკაცობის შემდეგ ტარი-  
ელმა ამოირჩია ერთი კვიცი და დაბრუნდა უკან; მივი-  
და გორაკასთან, იქ დატოვებულ ცხენს მოაჯდა,  
კვიცი წინ გაიგდო და, მზე ჯერ არ იუო ამოსუ-  
ლი, რომ იგი ქოხი შევიდა. უკელას ემინა. ბუხარ-  
თან მივიდა ცეცხლის გასაჩენათ და პირს კატა ეცა,  
როდესაც შენიშნა, რომ ნახშირისთვის წეალი დაეს-  
ხათ და ცეცხლი სულ გაექროთ. ეს ამბავი მმებს ჩა-  
ედინათ, რომ დაედუნათ ტარიელი.

ტარიელი ისევ მარდათ მოაჯდა ცხენს და გას-  
წიდ ცეისკენ ცეცხლის სამოვნელათ. როცა ტარიე-  
ლი შევიდა დაბურულ ტუმი, შენიშნა, რომ ორი

## პატარა ტარიელი.

ქაცი, ერთი თეთრი და ერთი შავი სასიკვდილოთ  
ებრძოდენ ერთმანეთს და ოოგორ იბრძოდენ: სექს  
ჭახა-ჭუხი გაჭერნდათ და დედამიწას ზანზარი გაუ-  
დიდა. ტარიელი მივიდა ახლო და ჭკითხა: — ვინა  
სართ? რა სულიერები ხართ, რომ ასე სასტიკათ  
იბრძვითო?

— მე ღამე ვარ და ეს დღე, უთხრა შავმა კაცმა.  
ჩვენში რომელიც გაიმარჯვებს ის დაიჭირს დედამი-  
წაზედ ადგილსაო.

აქ ტარიელს მოაგონდა შარმაზანის სიტყვები,  
რომ მზის ამოსვლამდის უნდა საუზმე მომზადდეს:  
მამინათვე მივარდა „დღესა და ღამეს“, ორთავეს  
ხელსფერი შეუკრა და იქვე ჯაგებში მიჰეარა და ასე  
უთხრა:

— ვინებ მე აქ მოვიდოდი, აქედან ფეხი არ მო-  
იცვალოთ და, ოოცა მოვალე, მაშინ აგიშვებთ და  
რამდენიც გნებავდეთ იბრძოლეთო. სოქვა ეს, მოხდე-  
ნილათ მოახტა ცხენსა და გაუდგა გზას. შუა ტუები  
შეამჩნია ბოლი, გაუქანა იქითკენ და შენიშნა, რომ  
აქ „ჭიაკოკონა“ ცეცხლი ანთია, ზედ უზარმაზარი  
ქვაბია შემომდგარი და ცეცხლის გარშემო თორმეტ  
დევსა სიმინავთ.

## ტარიელი დევებთან.

ტარიელმა ჩუმათ აიღო მუგუზალი და, ის იუო  
უნდა მოშორებოდა იმ სიფათ ადგილს, რომ მუგუ-  
ზალი გაუტედა და ერთ დევს ზედ იავზე დაეცა.  
დევს გამოედვიძა და ერთი ისეთი შეღრიბლა, რომ

ეველა დევები დააღვიძა. წამოცვივდენ და შეიჩერეს ტარიელი. ბევრი ეხვეწა, ემუდარა, რომ გაეძვათ და პატარა ცეცხლი მიეცათ ამისთვის. დევები დასთანხმდენ, მხოლოდ ერთი ჰირობით:

— ჩენ არაფერს გერჩით, ოდონდაც ერთი ეს ჩვენი ბრძანება შეასრულეა. ჩენ ეხლა მშიგრები ვართ, ჭამა გვინდა, წადი, გადაიარე ეს ქედი, იქვე ახლო ძენიძნავ ხეზედ მიბმულ ხარს, დაკალი იგი, გაატეავე, შიგნეულობა ამოაცალე, თორმეტ ნაწილათ გაეავი, შედგი ქვაბი, მოხარმე და შემდეგ რაც იქნება, მერე გმტევითო!“

წავიდა ტარიელი, ნახა დაბმული ხარი, დაკლა, გაატეავა, შიგნეულობა ამოაცალა, შადგა ქვაბი, მოხარმა ხორცი და მიართვა დევების. ამათ დათვალეს ნაჭრები და ნახეს რომ ერთი ნაჭერი მეტია. გაუჯავრდენ ტარიელს: — თვლაც კი არა გცოდნა, აქ ჩვენთან კი მოდიხარო! ხომ ხედავ, რომ ჩვენ თორმეტი ვართ და მენ კი ცამეტ ნაჭრათ გაგიუვიაო“. ტარიელმა ლინილით უპასუხა:

— განა მე კი ჭამა არ მინდა, რომ სათვალავში არ მაგდებო?

ემაწვილის ასეთი გაბედული პასუხი მოეწონათ დევების. ჭამას შეუდგენ. ტარიელი სჭამდა, სჭამდა და ნახევარ ხორცს ზურგთ უკან ისვროდა და მერე დევების კერძს ეტანებოდა. დევებს უკვირდათ: ეს რა მადა ჭირნიაო! ძალე წვენიც გაინაწილეს; ტარიელი აქაც ისე მოიქცა: ნახევარი წვენი ჩუმათ გადააჭირა და დევების კერძს წაეტანა. — დევები უფრო გაეგირ-

დენ და ერთმანეთს უთხრეს: — ამისთანა მაღის მქონეს დიდი ძალაც უზდა ჰქონდეს! მერე მიუბრუნდენ ტარიელს და უთხრეს: — მალიან ეოჩალი ბიჭი უფლხარ და შენ არავერს დაგიძავებთ, თუ კიდევ ერთს ჩვენ ბრძანებასაც შეასრულებო: შენ უნდა წასვიდე აქედან მარჯვნივ, ცხრა მთა გადაიარო და მეათე მთის მირში ერთი ხელმწიფე ცხოვრობს და იმ ხელმწიფის უმცროსი ქალი უნდა მოგვიუვანო და გაგვახაროო. ამ ქალის ნიშნები ეს არის: წნახევარი თმა ვერცხლისა აქვს, ნახევარი ოქროსი და ისეთი ლაპაზია, რომ ამისთანა ლაპაზი დედამიწის ზურგუზედ არ მოიპოვებაო“.

— კარგი და ჰატიოსანი, უთხრა ტარიელმა, მე ზირუნათლათ შევასრულებ თქვენ ბრძანებას, თუ თქვენც იქ მეუღლებითო! მე წინ წავალ და თქვენ უკან მომდიეთ; შევალ სასახლეში და როცა დაუსტვინო, მაშინათვე იქ მოდით და მომეშველენითო“.

დათანხმდენ დევები და ეველანი ერთათ გაუდენ გზას... მარდათ გადაირბინეს ცხრა მთა და მეათეს რომ მიაღწიეს ეკლიანი და ჯაგიანი გზა დახვდათ; ტარიელის ბრძანებით გაკაფეს ეს გზა და მიკიდენ სასახლესთან. გალავანს ვიწრო და რკინის კარები ჰქონდა. შეამტკრია ტარიელმა ეს რკინის კარები, ჩადგა გარებში და დაუსტვინა. დევები, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, თვითოსთვითოთ მივიდენ კარებთან და თვითოსთვითოს თავები დაურევინა ტარიელმა. თავები გალავანის ბომებს ჩამოაცო და თვითონ შევიდა სასახლეში.

ტარიელი გველაშაპსა ჰკლავს და სამ ქალს იხსნის  
განსაცდელისაგან.

ტარიელი შევიდა სასახლეში. მოიარა ერთი ოთა-  
ხი, მეორე, მესამე, ვერავინ ვერა ნახა, თუმცავი ოთა-  
ხები მეფის საკადრისათ იუო მორთული. ახლა მოტრი-  
ალდა და მარცხნით შენიშნა ერთი მავრათ ჩაკეტილი  
ოთახი; აჯავდუნა, აჯავდუნა უძველებელი კლიტე და  
ვერაფერს გახდა, ბოლოს ჭირა წიხლი და კარები  
კლიტიანათ მოაშორა ოთახს. სასახლემ ზანზარი  
დაიწეო. შევიდა ოთახში და ჭხედავს: ოქროს ტახტ-  
ზე წევს სამი ქალი. ერთს, რომელიც მარცხნივ იწვა,  
ვერცხლის თმა ჭქონდა და ისეთი ლამაზი და მოხ-  
დენილი იუო, რომ ტარიელი განცვითრებული იდგა  
და დაჭურებდა ამას. ესენი მიღუქუშით იუვენ შეპუ-  
რობილნი. მივიდა ტარიელი ახლო; ეს ლამაზი ქა-  
ლი მარჯვნივ დაბწვინა, შეათანა მარცხნივ და მესა-  
მე შუაში. გამოამრო „მზექალას“ ბეჭედი და თვის-  
თონ ნეკზე გაიკეთა. ის იუო უნდოდა გამოსულიერ  
გარეთ, რომ საშინელი ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი და  
მიწის ძვრა ასტედა. ოთახში შემოვარდა გველაშაპი  
და როგორც კი მივიდა ქალებთან სისხლის გამო-  
საწუწნავათ, ტარიელმა ამოიმრო ხმალი და ისე სა-  
შინლათ დაარტყა თავში, რომ გველაშაპმა ამოსუნთ-  
ქვაც ვერ მოასწრო, იქვე მკვდარი გაიშხლართა. ამის  
შემდეგ ტარიელი საჩქაროთ გამოვიდა ოთახიდან,  
დევების სადგურისაკენ გადაუხვია, აიღო მუგუზალი,  
მეჯდა ცხენზედ და იმ ადგილას მივიდა, სადაც დამე  
და დღე დაბმული ჭეავდა. ამათ ხელ-ფეხი გაუხსნა

და ვინებ დღე დამარცხებდა დამეს, ტარიელი კიდევ  
ვაც მივიდა სახლში. გააჩინა ცეცხლი, დაკლა კვიცი,  
და მზე რომ ამოვიდა ესენი უკელანი დასხდენ და  
შეექცენ საუზმეს. მმებს კი უკვირდათ — თუ როგორ  
მოახერხა ტარიელმა ცეცხლის მოვნა და ასე მალე  
საუზმის გაკეთება! შარმაზანი სიხარულით შეჭეუ-  
რებდა ტარიელს გმირულ სახეში და ეხვეწებოდა  
ეამბო მათოვის თავისი თავგადასავალი. ტარიელმა  
კრინტისმაც არ დასმოა და იქვე ახლო, სადაც იჯდა  
კუნძს მიადო თავი და ტკბილათ ჩაეძინა.

ალ. ნათაძისა.



## სპილოს დღიურიდან



ე დავიბადე ინდოეთში, სადაც ჭამთარი არ  
იცის, სადაც ლამაზი თუთიუუშები თავის  
სუფლათ დაფრინავენ ხეებზე. მე რომ  
დავიბადე დედა ჩემი ასი წლისა იუო.  
ჩვენ ჩვეულებრივ ას წელიწადზე მეტს  
ვცხოვრობთ.

მამა ჩემი მიამბობდა სოლმე, რომ  
ინდოეთი წინეთ სულ პატარა ქვეყანა იუო  
და იმის თვალ წინ გაშენდა მრავალი ქალაქები. ცხო-  
ვრებაც მაშინ ბევრათ უკეთ იუო მოწეობილი. მე და-  
ბადებიდანვე შეძემლო ფეხზედ დგომა, სოლო დედიჩე-  
მის ფაშვს ქვეშ ვცხოვრობდი. ჩვენ, ახლათ დაბადე-  
ბულნი სპილოები იმდენათ პატარები ვართ, რომ და-  
დის ფაშვს ქვეშ ვიმეოფებით. სძირათ, უცაბედათ, და-  
დის წისლებიც მოგვხვედრია. ორი სამი წლის შეძ-  
ებები, როდესაც დედის ფაშვს ქვეშ ვეღარ ვეტეოდი.  
დედაჩემი სორთუმით დამიჭერდა უურს და ისე მატა-  
რებდა სოლმე, როგორც გამდელი სულ დაჭერი-  
ლი ატარებს პატარა ბავშვსა. ერთი წელიწადი ვწოვ-  
დი შუმუს, მხოლოთ ერთი წლის შემდეგ შეძებლო  
სილის და ბალახის ჭამა. ჩვენი ოჯახი დიდი იუო:  
ზაპა, ბებია, ორი ბიბა, ორი მამიდა, დედა, მამა და მე.  
ეველა ესენი, როგორც უმცროსს, მე მალიან მანებივა-

რებდენ, მაჭმევდენ ფორთოხალს და ბევრს კარგ ხილს. ვიზრდებოდი უდღეოთ. სშირათ ტბაში ვბანაობდით, უფროსები თავით შესცურავდენ ტბაში და ისე ბანაობდენ, მე კი დედა ჩემი მომხვევდა სორთუმს წელზედ და რამდენჯერმე ჩამაჟურუუმალებდა წეალძი. მა მალიან მცემარდა ბანაობა. ბანაობის შემდეგ ვისვენებდით რიექტედ, თუ დაგვეძინებოდა პაპა ჩემი გვიდარაჯებდა. თუ რომ საეჭვოს და საშიშს დაინახამდა მორთავდა უვირილს, ჩვენც ფიცხლავ წამოვსტებოდით სოლმე და გავრბოდით, პაპაჩემი წინ მირბოდა და ჩვენ უკან მივდევდით. შეადღისას მნელი იქო ჩვენა მოგზაურობა, ბუზები მალიან გვაწუხებდენ, მაშინ ვინამე ჩვენთაგანი მოსტეხდა ხედან დიდ ტოტს და გვიგერებდა ბუზებს. ჩვენ სორთუმის და თვალის გარო შემო ტუვი მეტათ ნაზი გვაქვს და ბუზები უოველ თვის იმ ადგილებს ემტერებოდენ. სხვა ადგილას კანი კი იმდენათ სქელი გვაქვს რომ გველის კბენასაც კი გერ ვგრძნობთ. სორთუმით ჩვენ ვჭამთ, წეალს ვსვამთ, ვუნოსამთ, სორთუმითვე შესება ნამეტანი საგრძნობელია. მერე მე ისე ქანდა განვითარებული, რომ როდესაც ადამიანის ხელში ჩავარდი, სშირათ ბალახებში გამოულობდი ჩემი დიასახლის საკერავ ნეკვებს, სორთუმით ვკრებდი სოლმე შეივებს. ერთხელ კი დეც კოლოფში ჩავალავე აბები, რომელიც ჩემ პატრონს დაჭვანტოდა. ეველა ეს მიტომ მესერსებოდა, რომ სორთუმზე გამაქვს ისეთი ჩვილი ადგილი, რომლის შესებით ადვილათ ვიგებთ ეველაფერს. თვალთ მხედველობა მართლია იმდენათ კარგი არა გვაქვს,

მაგრამ მაინც არა პირუტევი არ გამოგვენარება, მეტადრე თუ ქარი უბერავს იმ მხრიდან, საიდანაც იგი მოდის. ამას ჩვენ ენოსვით ვიგებთ. სმენითაც კარგათ გვესძის, პატარა ფაჩისფუნჩიც კი საკმარისია, რომ მტრის სიახლოესე ვიგრძნოთ.

ექვს წლამდის დედას არ მოვმორებივარ. როს გორც წინეთაც გითხარით, ჩემო პატარა მკითხველებო, ეგელას ძალიან უუვარდი. და მანებიურებდენ კი დეც, ეს საუკეთესო ხანაა ჩემ ცხოვრებაში და დიდის სიამოვნებით ვიგონებ ხოლმე ამ სანეტარო დროს.

ერთხელ როდესაც ტუქე მივდიოდით პაპაჩემბა ასწია ხორთუმი და დიდხანს ენოსავდა ჭაერს.

— სიფრთხილეა საჭირო! მე ვგრძნობ ადამიანის სიახლოეს. სოჭვა პაპა-ჩემბა.

მართლაც, დაღამდა თუ არა შორიდან გამოჩნდა ცეცხლი, მოისმა ადამიანის ლაპარაკი და სეების მტვრევა.

— წავიდეთ საჩქაროთ აქედან, აქ ადამიანები არიან და უბედურება არ აგვცდება! სოჭვა პაპაჩემბა.

ჩვენც შემინებულნი მთელი ოჯახობით გამოვბრუნვდით უკან. ადამიანზედ მე ბევრი რამ გამეგო და მინდოდა ერთი შემეხედნა ამ ორ ფეხა პირუტევისათვის, რომელიც ძალიან წააგავს მაიმუნს, და თურმე იცის უველას დამორჩილება. ჩვენ როგორც იურ თავი და ვაღწიეთ იმ ადგილებს, სადაც ადამიანის სუნი ტრიალებდა. მთელი დამე პაპა ჩემს თვალი არ მოუსუჟამს, ჩვენ გვიდარაჯებდა.

როდესაც უველა მიღს მიეცა, მე გავიჩარე ადამი-

## სპილოს დღიურიდან.

ანებისკენ, რომ ცალი თვალით მაინც შემეხედნა იმათ-  
თვის და გამეგო რანაირები არიან.

ვიფიქრე, მანამ უველას სძინავთ, მოვასწორობ ადა-  
მიანის ნახვას, და ბინაზედაც დაბრუნებას. მერე რო-  
გორ გაუკვირდებათ, როდესაც ვუამბობ ჩემ ნახულს.

კი ძანძილი გავიარე, ადამიანის სუნი რომ ვი-  
გრძნე, გამეხარდა, გავეშურე მისკენ.

ადამიანი ხებს სხეხავდა. სანამ მიუახლოვდებო-  
დი უცბათ ვიგრძნე, რომ სადღაც ღრმათ ორმაში ჩა-  
ვარდი. ბევრი ვეცადე ამოვსულიებვ იქიდან, ბევრი  
ვიწუხე, მაგრამ ვეღარა გავაწეერა, მოვიდა ადამიანი  
ამომიუვანა ორმოდან და წამიუვანა თავისთან. — ამ  
დღიდან მე ჩავარდი ადამიანის ხელში. თურმე ამ ორ-  
მოს გაკეთება მისი ეშმაკობა იე, მე უნდა დავეჭი-  
რე. ჩემი მშობლებთან დაბრუნება შეუძლებელი-და გახდა.

— რა მშვენიერი სპილოა, უსათუოდ კარგ ფა-  
სათ გავვიდით, ეუბნებოდენ ერთმანეთს ორი ადამია-  
ნი. წამიუვანეს სადღაც ძორს სოფელში, დაძირეს  
სწავლება. ოც კი იურ ოჯახის საქმე უველა შემას-  
წავლეს. შემას ვხეჩდი, კარაქს ვდღვებდი, სარეცხს  
ვრეცხდი, საქონელი დამუავდა სამოვრათ, ერთი სიტ-  
ურით ჩემი გაუკეთებელი საქმე აღარა იუსრა.

— უოჩალ, ჯური! მაქებდა ხოლმე ჩემი პატრონი,  
— შენ ძალიან მსწავლული სპილო გამოხვალ!


მერე მე მიმუდეს ერთ ევროპიელ კაცს, რომე-  
ლიც ძალიან, მდიდრულათ ავარაკში ცხოვრობდა. მას  
ჰქონდა ერთათ ერთი, მშვენიერი ლამაზი, ქალი, სა-  
ხელათ ფრედა. ჩემ ქალბატონს ჰქონდა აღმზრდელი

ქალი, ოომელიც მუდამ მასთან იმუოფებოდა და თას მაშობით ართობდა. ოოდესაც მე მიმიუვანეს იმათ აგა რაკზე ჩემ ახალ პატრონს მალიან მოვეწონე. დაუ-  
მახა ფრედას და უთხრა:

— აი ეს ახალი სათამაშო გიუიდე, სახელათ კუ-  
რი ჭიჭიან. ითამაშე ხოლმე მასთან.

ამ დღიდან ვემსასურებოდი ამ მშვენიერ ემაწვილს.  
ფრედას და მის აღმზრდელს მალიან შევუევარდი. მუ-  
დამ მეთამაშებოდენ, მეალერსებოდენ. მთელი დღეები  
ერთათ ვიუვით, ოოდესაც ფრედა თავის დედოფლებს  
გაუმართავდა მეჯლის მე უოველთვის აღლანს უკრავ-  
დი, ან კიდევ როცა ფრედა ჰატარა ქურაზე უკეთებდა  
საჭმელს თავის დედოფლებს, იქაც უთუოდ ვესმარებოდი,  
— ცეცხლს უჩადებდი, ვაწვდენდი უველაფერს. ოოდესაც  
ჰატარა ფრედა მოიღალებოდა თამაშობით მისი აღ-  
მზრდელი ჩამწევნდა მას ჰატარა ეტლი დასაძინებლათ,  
მეც, ოოგორც კაი გამოცდილი გამდელი, ვატარებდი  
ეტლს და თან ბუზებს უგერებდი ფორთოსლის სის  
ტოტით. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იუო. მე უმა-  
წვილი ვიუავ, ზადამიანი შემიუევარდა და გერმნობდი,  
რომ შემიძლიან მათ რაიმე სარგებლობა მოუტახო.  
ხშირად ფრედას მამა მაქებდა ხოლმე. მეც მზათ ვი-  
სავ შემეწირა მთელი ჩემი სიცოცტლე ამ საუვარეულ-  
ოჯახისთვის.

ანიკო.



აი, ჩემი სურათი!



## ୧ ୨ ୩ ୮ ୧ ୬ ୧ ୦.

(ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବିଲୋ ସାହୁ. ଆତ୍ମାରକ୍ଷେତ୍ରଭାବୀ ଗ. ଲେଖକିଳିର ମିଶ୍ର). ୧୫

ଅବୀରଣ୍ୟ ଅବ୍ୟାପସା, ତଥା ଦ୍ୟାୟକଳା ତାତାରିବା,  
ବୋର୍ତ୍ତୁ ବେଳେବେ ନେବିତା, ଗାମନିଦିଙ୍ଗା ଜ୍ୱେବିତା.

ଅବୀ କ୍ଷେତ୍ରୀ ଅବୀରଣ୍ୟ, ଅବୀ ଦ୍ୟାୟ ଅବ୍ୟାଲ୍ୟ,  
କାଳୀ ମଦିତୀ ଅବ୍ୟାର୍ଣ୍ୟ, କାଳାତାଶି ହାବ୍ୟାର୍ଣ୍ୟ.

ବାଲଲା ପଦ୍ମିଵାର ଦାକ୍ଷାନ୍ତେଲା, ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ ପଦ୍ମିତାନ୍ତେଲା.

କାର୍ତ୍ତା ପୂର୍ବିତ ମିଶ୍ରିତା.

## ୪ ୮ ୧.

(ଶ୍ରୀରମନ୍ଦିଗ୍ରେନ୍ଦ୍ରି ମ. ଲେଲାଶ୍ଵିଲିର ମିଶ୍ର).

ରାତ ମହିର୍ମର୍ଯ୍ୟ ଦ୍ୟାତର ଜୀଲାରଜି,  
ଏହିର୍ଯ୍ୟ ମେଦାଵ୍ୟ ଜିନିତା.

ଶିନ ଗିଲାପାଵଳି ଲମ୍ବିତା  
ଏବଂ ଦାତ୍ରନିର୍ବିଶା ଲ୍ବିନିତା!

## ୧ ୮ ୧ ୮ ୧ ୮ ୧.

(ମିଶ୍ରିତ ଶ୍ରୀରମନ୍ଦିଗ୍ରେନ୍ଦ୍ରି).

ତିର୍ଯ୍ୟକୀଯ ଅରୀର ମିଶ୍ରିତା,  
ତୁଳାଶିତ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବୁଲି;  
ପ୍ରେତ୍କଳିତ ଦାମିତାରି, ମିଶ୍ରିତା  
ଶାଶ୍ଵତ ଅଶ୍ରେନ୍ଦ୍ରିଭୁଲି.  
ମେହିର୍ଯ୍ୟ—ଅରୀର କ୍ଷେତ୍ରିନା,  
ମଦିରାରି, ବାଲିନିତ କ୍ଷେତ୍ରିନି,  
ମାଗରାମା ମତ୍ରେତା ଶ୍ରୀଲିରାନ  
ମରାଗାଲଜ୍ଞୀର ଅନ୍ତର୍ଜ୍ଞେବୁଲି;  
ଗାଲାମିତ୍ତିଗାର ଗାଲାଦୁଗୁଲି  
ଏବଂ ମିଶ୍ରିତ ଦାଲନିନ୍ଦ୍ରିବୁଲି...

ორივე—ხუთი ასოთი,  
საწერათ მომზადებული.

### ა პ რ მ ს ტ ი ხ ი.

(მისგანეუ წარმოდგენილი).

ის ამშვენებდა საქართველოსა,  
კითა ლამპარი მანათობელი,  
მაგრამ გაგვიქრა უკუცრათა,  
ალარ გვყავს ჩვენი თანამგრძნობელი;  
ჩვენ დაგვაღონა დიდი, პატარა,  
არ გვინახულა მისი მცნობელი,  
ბევრი ვინანეთ მისი დაკარგვა,  
ერთათ ვართ ყველა ბედის მგმობელი,  
ლომ გული ერი დაეძებს ვაკრამ  
იგი არა სჩანს, სიტყვის მშობელი..

### რ ე ბ უ ს ი.



ა

### ხ ა ლ ხ უ რ ი

(სოფ. ტყვიავში ჩაწერილი ნ. ჭაბულელისაგან)

მთიდან წამოვა ირემი  
ფეხით ტალახიანი,  
კაცი არ დაიწუნება  
თუ არი ვენახიანი.

მალლა-მალლისა მთაზედა  
კურდლლისა სისხლი მდგარიყო,  
არწივი დასწავებოდა,  
სვამდა, ვერ გამაძლარიყო.

მაინც არ მოხვალ სიმინდო,  
გინდ გაცურაო წყალშია,  
უჩვევი ხელის გათოხნილი ხარ,  
არ ჩაიყრება ძარშია,

გ ა ს ა რ თ ლ ბ ი.

ქუჩაში პატარა ბიჭი მწარეთ ტიროდა:  
 — რათა ტირი, ბიჭიკო, ეკითხება გამვლელი.  
 — ორი კაპეიკი დამეკარგა, ღრიალით ამბობს ბავში.  
 — დაიჭი ორი კაპეიკი და დაჩუმდი. ეუბნება გამვლელი და აძლევს ორ კაპეიკს.  
 ბავში ართმევს ორ კაპეიკს და უარესათ ტირის.  
 — ახლა რაღა გატირებს? ეკითხება ისევ გამვლელი.  
 — ის ორი კაპეიკი რომ არ დამკარგოდა, ახლა ხომ თოხი კაპეიკი მექნებოდა.

**ჭიკვიანი ბატები.** ერთ სოფლის მახლობლათ, ამერიკაში, მოგზაურს შეხვდა ბატის გროვა. სათითაოთ ბატებს ყელზე პატარ-პატარა დოქები ეკიდათ. მოგზაურმა ცნობის მოყვა რეაბით ჰკითხა მწყემს, თუ რისთვის ჰქონდათ ბატებს ეს დოქები ყელზე შებმული. მწყემსმა აუხსნა: ეს დოქები წყლით არის სავსე, რადგან ხშირათ მოგვიხდება ხოლმე ისეთ აღგილას ყოფნა, სადაც ცვარი წყალი არ მოიპოვება, როდესაც რომელიმე ბატს მოსწყურდება ის მივა ამხანაგოან და დაიწყებს ყიყინს, ამხანაგი — ბატი გადიხრის თავს უკან, ან დაჯდება მიწაზე, მაშინ მწყურვალე ბატი დაეწაფება იმის დოქს და მოიკლავს წყურვილს.



**გამოცანებისა:** 1) ბავში. 2) მერცხალს უთხრეს: წადი ნოეს უთხარი, კიდობანში რომ ჩაგვსხამს კარი არ მოგვისუროსო.


**ზრა:** ჯიბე, სოსანი, ლილი-ფარა, აბესალომ, თივა.

**აკროსტიხი:** ალექსანდრე ხახანაშვილი.

**შარადა.** შა-ქარი.

**სახუმარო კითხვების პასუხი:** 1) უნდა ჩადო, თითონ არც ერთი არ ჩავა. 2) ბალახს თიბავენ და არა მკიან. 3) წყალი. 4) ყვავის ფრთა. 5) და 6) ლოკოკინა, რადგან ზურით დააქვს თავისი სახლი. 7) თხა.

# ელჩა.



ყის განაპირათ ვიდექი,  
ძირ-ფესვიანათ ვხარობდი;  
ჩემს სიამაყე ძალ-ღონეს;  
ბოროტათ როდი ვხმარობდი.

თუ ქარი შემომიტევდა

მეც ვაჟკაცურათ ვდეგბოდი,

სიცოცხლის გამწარებულსა

ლაჩრათ რათ დაუხვდებოდი!

შიშის ზარს სცემდა ქარსავე

ჩემი ფოთლების შრიალი  
ავეუნ შემომარის და ხევ-ხუვს ეფარებოდა  
— თუ მც ძალიან მისი კვნესა და ღრიალი... .

შიში დოუგა იძი  
ვფიქრობდი კაი საქმისთვის  
სოფია ავები არავინ გაძაწბილებდა,  
კოველთვის ჩერო მზათ მქონდა  
ვინაც კი მოიჩრდილებდა.

ჩემი შტო, ჩემი ფოთლები,  
თუმც არას რეგბდა ხბორებსა,  
მაგრამ რკო ბლობათ დასხმული  
მუდამ აძლობდა ღორებსა.

სიკეთე ქუცუნებმა

არ მოიჩნიეს არადა,

დინგი და ეშვი იხმარეს

ცულის პირათ და ბარალა.

დამიგდეს, ამომაბრუნეს

ძირიან ფესვიანათა

და კიდეც გადიხარხარეს

იქვე გესლიანათა.

ვაი, რა უთხრა ბრმა მტერსა, ტმობსა

ბრიყვსა და შეუგნებელსა,

განა ყინ ასაზრდოებდა

ჩემივ სიკვდილით მზებნელსა?!.

შიო მლვიმელი.

— მოვის სალი, სანდერლინგიაძი მარჯვენა . ცურტ მარცელმა აცეცემაში  
თუ მწერმა შექმნითი სა იმპერიოლის სამელობელოზ მუკარე  
ოცხვის ძალა მოასტრიციუნ ჩინ, ითინი თოვადა მკრცხად  
ჩინცხალის .

# ღრმ ება

(სტროული მჟღადობა არტმანისა)

(დასასრული)

IV.



ვინობის გვეში ამავე წელს ავსტრიის  
ხელმწიფემ შეპრა ზავი საფრანგეთის  
ხელმწიფესთან. ეს იყო ვენის ზავი,  
რომლითაც ავსტრიის ხელმწიფე უთ-  
მობდა მას თავის საყვარელ ტიროლს;  
და სამი დღის შემდეგ, ფრანგების მომ-  
ხრე ბავარიელები ტიროლში შემო-  
ვიდენ.

25-ს ლვინობის გვეს მათ დაიპყ-  
რეს ტიროლის სატახტო ქალაქი, ინსბრუ-  
კი, და იტალიის ხელმწიფის მოადგილემ,  
ევგენი ბოგარნემ, ყველა მცხოვრებლებს  
იარაღი აჰყარა.

ამ თავ-ზარ დამცემელ ამბავის ატანა არ შეეძლოთ მარჯ-  
ვე და მხნე მთიულებს: ყველას აზრი ისევ სამშობლოს რაინდის  
ანდრია გოფერისაკენ მიჰქოდა, რომელმაც არა ერთხელ დაა-  
მარცხა ფრანგები. მარტო იმას შეეძლო დაეხსნა საყვარელი  
სამშობლო დამცირებისგან.

გოფერის სახლი სალტაუში იყო, საერთოთ ყველას  
აღლვებამ ისიც კვლავ გამოაფხიზლა. კაცები, რომელნიც  
კარინტიიდან მოდიოდენ, უამბობდენ მას ავსტრიელების ნამო-  
ქმედარს, გოფერმა ველარ მოითმინა და მოაწერა ხელი ტირო-  
ლიელების მიმართ მოწოდებას. ელვის სისწრაფით მოეფინა  
ეს ამბავი მთელ არე-მარეს. ყველა ეკლესიებიდან ისმოდა ხალ-

გამოსაწვევათ ზარების რეკა. ყველა ახალგაზრდებს იარაღს ური-  
გებდენ მიტერეროლანგის მსროლელნი არ ჩამორჩენ სხვებს და  
გაითქვეს სახელი იმითი, რომ პუსტერტალის მთის გასავალი  
დაიცვეს. მაგრამ ვერც ამან, ვერც სახელოვან გამარჯვებამ  
ქალაქ შერანთან და ტერლანთან ვერ გადაარჩინეს ტიროლი,  
რადგანაც მტერს უფრო მეტი ჯარი ჰყავდა. ფრანგებმა და-  
იპყრეს მთელი ტიროლი. ნაპოლეონმა ტიროლიელები მეამ-  
ბოხეთ იცნო და დანიშნა მკაცრი სამხედრო გამოძიება. ყვე-  
ლა წინამძღვალნი, რომლებმაც ომში სახელი გაითქვეს, უნდა  
სიკვდილით დაესაჯათ. აგრეთვე დაისჯებოდენ ისინიც, ვინც  
გაბედავდა ან გაქცევას, ან დამალვას. ანდრია გოფერის თა-  
ვი, როგორც მეამბოხესი, ათას ხუთას გულდენათ<sup>1)</sup> იყო და-  
ფასებული. მაგრამ რადგანაც იგი ძნელი დასაჭერი იყო, ფიქ-  
რობდენ სამაგიეროთ იმის თანაშემწევების დაჭერას. სამსჯავ-  
როს თავმჯდომარეთ პუსტერტალში დანიშნული იყო ბრუსიე,  
ერთი შეუბრალებელი და მკაცრი ფრანგის ღენერალი.

ის უმოწყალოთ სჯიდა სიკვდილით ყველას, ვის შესა-  
ხებაც ჯაშუშები ამბავს მიუჭინდენ.

ცრუმლები მდინარესავით იღვრებოდა, ოხვრა და ტირილი  
გაისმოდა ამ საშინელება ზამთარს ტიროლში. მარტო განცალ-  
კევებულ პეტრე ზიგმარის სავანეში იშვიათად მიღიოდა იმბა-  
ვი და მან არ იცოდა რა უბედურობა ტრიალებდა მის გარ-  
შემო. იგი მწყებსათ უდგა საქონელს და შემოდგომის გასვ-  
ლამდის უნდა დარჩენილიყო მაღლა ალპებზე, არავის ხედავ-  
და, გარდა პატარა მწყებსისა და, როცა მაღლა მთებზე ისე  
აცივდა, რომ აღარ დაიდგომოდა, მუშათ დადგა ამ მთებ შეუ-  
ძლებარე ამეტენის ფერმაში. ჭაჭანება არავინ გაივლითა ამ  
ფერმაში, რომელიც თოვლით იყო ყოველ-მხრივ შემოზღუ-  
დული, პეტრემ მართალია იცოდა, რომ ამბოხება ჩაიშალა,  
ვერას გახდენ, მაგრამ გეფრათ არ ნაღვლობდა თავის ნათესა-  
ვებზე, იმიტომ რომ, როგორც შორილან ესმადა, დამშვიდე-  
ბის შემდეგ გამოვიდა ბრძანება დამნაშავეთა პატივების შესა-  
ხებ.

<sup>1)</sup> გულდენი 50-90 კაპ.

— და, რომ რეგისტრი არ მომდევნობს, რეგისტრი არ მომდევნობს.

ერთხელ, ქრისტეს შობის წინეთ, პეტრე გზის გასაკეთოებლათ გარეთ იყო გასული, როცა სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა, დაინახა ეზოში ახლგაზრდა ქალი, რომელიც ხის კუნძე ჩამომჯდარიყო, პირის სახე ხელებით დაეფარა და ეტყობოდა ტიროდა.

პეტრე რაღაც მძიმე გრძნობით შეპყრობილი უცებ გაჩერდა და წამოიძახა:

— შენა ხარ, მიდელ?

ქალი შეინძრა, პირის სახე გამოიჩინა, და პეტრემ დაინახა, რომ წინასწარ გრძნობამ არ მოატყუა. მაგრამ მან უცებ ნახა დიღი ცვლილება. ახლა მიდელი გამხდარი, ფერმკრთალი იყო, თითქოს დაბერებულიყო რამდენიმე წლით.

— ოჲ, ღმერთო ჩემ! მიდელ, რა მოხდა? წამოიძახა შეშინებულმა პეტრემ, და ხელი მოავლო მიდელს. — რამე უცემულობა ხომ არ დაგატყდათ თავს, ან იქნება ვინმემ გაწყვენინა?

მიდელმა ქვითინი ამოუშვა. პეტრე ამშვიდებდა, ანუგუშებდა. როცა მიდელი ცოტათი დამშვიდდა, უამბო პეტრეს ყველაფერი, რაც ბარში ხდებოდა.

მხოლოთ ახლა გაიგო პეტრემ რა ამბავიც იყო იმ, ძირს ამშვანებულ და ბალებით შემოსილ ბარში. შიშით ალელვებული უგდებდა ის ყურს, თუ რამდენი მხნე და კაი კაცი დაიღუპა ფრანგების ჯალათისაგან და ტყვებისაგან. მისმა ძმმ ქსავერმაც-კი, უნდა შესწიროს თავი სამშობლის. მართალია მან მოასწრო დამალვა მთებში, მაგრამ თურმე ბრუსიეს ჯარის კაცნი მოსულან მათ სახლში, ყველა კუთხები გაუჩხრეკიათ, და რომ ვერავინ უნახავთ, მამისითვის მოუკიდიათ ხელი და შებორკილი ბრუნეკეში წაუყვანიათ ბრუსიესთან. მოხუცი გიორგი არ იღებდა მონაწილეობას აჯანყების დროს და ყველას ეგონა, რომ მალე გაანთავისუფლებდენ. მაგრამ ასე არ იყო საქმე. ბრუსიეს ეკითხა მოხუცი გიორგისთვის, იცის თუ არა, სად იმალება ქსავერი. გიორგიმ შიუგო, „ვიციო, მაგრამ გაცემით კი შვილს ვერ გავცემო“. მაშინ ღენერალს გამოუცხადებია, რომ მას ხუთი დღის შემდეგ სიკვდილით დასჯიან,

თუ ქსავერს ვერ იპოვნიან. მას აქეთ გავიდა ორი დღე, და მიდელს მხოლოდ ამ დილით გაეგო ეს ამბავი თავის ბიძისა-გან, ბიძისთვის კი ვიღაც სოფლელს ეამბა, რომელიც თურ-მე ბრუნეცის ციხეში მუშაობდა, და მისთვის კიდევ ვიღაც ყა-ვა-ხანის პატრონს ეთქვა.

მიდელი საშინალათ შეწუხებულიყო, ეს ამბავი რომ გაეგო. მან არ იცოდა, რა ექნა და აზრად მოუვიდა, პეტრესთან წამო-სულიყო. მიდელს გაგონილი ჰქონდა, რომ პეტრე ამეტების ფერმაში მუშაობდა და გზას გაუდგა. პეტრემ რამდენჯერმე შეა-წყვეტინა მიდელს ამბავი თავისი ტირილით და კვნესით; მაგრამ როცა მან ყველაფერი დაწვრილებით გაიგო, მეტის მეტა დამშვიდდა.

— სად არის ქსავერი? ჰკითხა მან. — შენ შეგიძლია მითხრა?

ერთ წამს მიდელი გაჩუმდა, დაბოლოს წამოიძახა:

— შენ რომ ის გასცე, პეტრე, მამის გადასარჩენათ.,.

პეტრემ წყენით შეხედა მიდელს და თავი გაიქნია.

— განა მე იუდას ვგევარ? მართლა, მეც ხომ წითელ-თმიანი ვარ.

— ნუ გაჯავრდები, მე არაფერს ცუდს შენს შესახებ არ ვფიქრობ. მაგრამ ხომ ხედავ, უნდა გამოგიტყდე, რომ მე ქსა-ვერის დანიშნული ვარ და რადგანაც... ჩან თავი დალუნა, გაჩუმდა რამდენსამე წამს და მერე ნელის ხმით სთქვა:

— ქსავერი მაღლა ფილბერტაურნშია, მოხუც მწყემ-სის ქოხში, რომელიც ივანე პანცელს ეკუთვნის. ივანე მას საჭმელს უზიდავს.

— ეგ კარგი დასამალავი ადგილი უშოვნია: იქ მტერი აღრე ადვილათ ვერ მიაგნებს, სიხარულით წამოიძახა პეტრემ.

— მაგრამ მამა! მითხარი თუ ლმერთი გრწამს, როგორ გადავარჩინოთ იგი.

— შენ, მიდელ, მხოლოთ ერთი საქმის ასრულებას გთხოვ. ეხლავე დაბრუნდი სახლში, და არა კაცს არ უთხრა, რომ ჩემთან იყავი; მე მოვაწყობ საქმეს.

— ქსავერს ხომ არაფერი დაუშავდება რა? შიშით ჰკითხა მიდელმა.

— ნუ გეშინიან! დაამშვიდა პეტრემ.

— ოჯ, რა კარგი იქნება შენ რომ მოაწყობდე საქმეს და საჩქაროთ მიბრუნდა, ერთი ისეთი მაგრათ აკოცა პეტრეს, ისე მაგრათ რომ, როცა მიღელი მისი დანიშნული იყო არც ერთხელ ასე არ უკოცნა. პეტრემ გაიცინა და უთხრა:

— მე ისე მოვიქცევი, როგორც ღმერთი შემაძლებინებს.

ერთი კიდევ მოაგონა პეტრემ მიღელს, რომ არავისთვის ეთქვა თუ ამეტენში იყო, და მიღელმაც სიტყვა მისცა, მამასაც კი არ გავუმხელო. მერე პეტრემ საჩქაროთ ჩამოართვა ქალს ხელი და გაჰქირა ერთ წამს ისე, რომ მიღელმა ვერც კი მოასწრო ხელმეორედ მადლობის გადახდა.

## VI.

იმავე დღეს საღამოთი ბრუნეკის ციხეში, ღენერალ ბრუნესთან მოიყვანეს ახალგაზრდა ტიროლიელი, რომელშიაც, პირველსავე შეხედვით. ყველა იცნობდა ტიროლის მსროლელთა რაზმის ჯარის კაცს: ბუმბულით მორთული დიდი ქუდი, წითელი ხალათი, მწვანე პერანგი და განიერი ქამარი ამ-შვენებდა მის წამოსადევ ტანს. ბრუსიეს თვალებში სიხარულმა გაიელვა, როცა მსახურმა მოახსენა დაჭერილ ტიროლიელის მოყვანა. ღენერალმა უთხრა რამდენიმე სიტყვა ჯარის-კაცთა უფროსს, რომელსაც უნდა გადაეთარგმნა.

— შენა ხარ ქსავერი ზიგმარი მიტრეროლანგიდან?

— დიახ, მიუგო ტყვემ.

— შენ უარს არ ამბობ, რომ უკანასკნელ იჯანყებაში იღებდი მონაწილეობას და რაზმის უფროსი იყავი?

— არა, არ ვამბობ.

— ყვახანის გამგე მიტრეროლანგიდან მამა შენია?

— დიახ.

ღენერალმა ნიშანი მისცა და დაჭერილი გაიყვანეს. ტყვემ ძალზე ჩამოიფხატა თავზე ისედაც დიდი ქუდი, რომელიც, როგორც სხვა ტანისამოსი, გამოართვა ამეტენის ერთ გლოებს. მისი შიში, რომ არავის ეცნო. ამაო იყო. მას არ შევდა შოკლე გზით რომ მოღიოდა არც ერთი თავის სოფლელი და როცა ციხის მძიმე კარი მის შესვლისთანავე მიიხურა, მას აღარავისი ეშინოდა.

მეორე დღეს, დილაზე, ყავახანის პატრონს გამოუცხადეს,

რომ იგი თავისუფალია, რადგან მისი შვილი ქსავერი თავი-  
სავე ნებით სამსჯავროს წინაშე წარსდგა. მოხუცებულს სა-  
შინლათ ეწყინა ეს ამბავი. ცრემლით ავსებული თვალებით  
ეხვეწებოდა, რომ მისთვის მიეკათ ნება თავის შვილის ნახ-  
ვასა, მაგრამ ბრუსიებ უარი უთხრა; და როცა გიორგი ზიგ-  
მარმა გამოუცხადა, ჩემ შვილთან ერთად მომქალითო, იგი  
ძალით გამოიყვანეს ციხიდან. საწყალს გრძნობა დაეკარგა,  
და მხოლოდ ვიღაც კეთილმა იდამიანებმა აიყვანეს იგი, და  
სახლში მიიყვანეს.

საშვავრომ სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა ქსავერ ზიგ-  
მარს. მან მშვიდათ მოისმინა ეს გადაწყვეტილება. იგი შეკრთა  
მხოლოდ მაშინ, როცა გაიგო, რომ ეს დასჯა უნდა მომხდა-  
რიყო მეორე დილას მიტტეროლანგში. როცა ჰკითხეს, ხომ  
არაფერი სათქმელი გაქვსო, იგი შეეხვეწა, აქვე ბრუნეკში  
მოეკლათ. მაგრამ ჯარის უფროსმა უარი უთხრა და რამდე-  
ნიმე ჯარის კაცნი ღამითვე გაუძლვენ ამას და ისე წაიყვანეს.

მხნეთ და მხიარულათ, თითქოს სადღესასწაულოთ, მის-  
დევდა პეტრე ზიგმარი მსროლელთა რაზმის ჯარის კაცის ტა-  
ნისამოსით. მის უშნო სახეს თითქოს ახლა სილამაზე დაეტყო.

ჯერ კიდევ არ გაჟენებულიყო, რომ მათ, სოფელთან  
მიახლოვებისას, გზას შეუხვიეს და მწყემსის ბალმგარტენის  
სახლთან გაჩერდენ.

აქ ჯარის კაცნი გამწერივდენ თოვლით მოსილ მინდობრზე, პეტრე განზე გაიყვანეს, რომ მდვდლისთვის შენდობა ეთქვა. მერე რამდენიმე წუთის შემდეგ ჯარის კაცთა უფროსსა ხმალი ამოილო და ხმა-მაღლა დაიყვირა:

— ისროლებ!

ათი ტყვიით განგმირული ტიროლიელი მიწაზე დაეცა,  
და როცა ერთი ჯარისკაცთაგანი მიუხლოვდა, იგი უკვე მკვდა-  
რი დაუხვდა ფრანგებმა საქართვის იქვე საფლავი ამოთხარეს.  
უდროვო დროს სროლითშ ეშინებულმა სოფლელებმა დაინახეს,  
რომ თეთრებში შეხვეულ მკვდარ კაცს საფლავში უშ-  
ვებდენ.

მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ, მძიმე სენისგან მორჩილმა, ყავახანის პატრონმა გაიგო, რა ჩაიდინა მისმა უფროსმა შვილმა მამის და საყვარელი ძმის გულისთვის. ივანე


პანცელმა, რომელიც ქსავერს საჭმელს უზიდავდა ხოლმე, გა-  
ამხილა ყველაფერი. მიღელმა კი უამბო დაწვრილებით მოხუცე-  
ბულს გიორგის. ისინი ერთად სწუხდენ პეტრეს სიკვდილს,  
მაგრამ ჯერ უნდა გაჩუმებულიყვენ.

ქსავერი მაშინ დაბრუნდა სახლში, როცა ტიროლი  
აესტრიიმ და საფრანგეთმა გაიყვეს. ჯვარი კი მიღელზე მან  
მხოლოთ ერთი წლის შემდეგ დაიწერა.

ბაუმგარტენის ეზოს პირდაპირ აქამდის სდგას ერთი პა-  
ტარა სახლი, რომელიც აშენებულია პეტრე ზიგმარის სახ-  
სოვრათ. მის კედლებზე დახატულია პეტრეს სიკვდილის სურათი,  
არც ერთი რიგიანი ტიროლიელი ისე არ გაივლის ამ სახლ-  
თან, რომ არ გაჩერდეს და არ გაიხსენიოს რაინდი — ძმა-პეტრე.

(თარგმანი).

ირაკლი ფერაძე.



# პირველ-უოფილი ადამიანის უოფა-ცხოვრება.

V.



სწავლა-მეცნიერების დასა-  
ბამი.

მას შემდეგ რაც ქვეყანაზე  
ასებობს ადამიანი, ის ყოვე-  
ლთვის ცდილობს გაიგოს რა ხდება მის გარე-  
შემო. მართალია სუსტათ მუშაობს ველურის  
ტვინი, მაგრამ მაინც იმის ცდაშია, რომ გაი-  
გოს და ახსნას სხვა და სხვა ბუნების მოვლე-  
ნანი: საიდან გაჩნდა დედა-მიწა და მასზე ხალხი?  
რისგან წარმოსდგება წელიწადის დრონი, დღე  
და ღამე? რა არის მიზეზი მზისა და მთვარის  
დაბნელებისა, საიდან ჩნდება ქუხილი, ელვა,  
ქარი, მიწის ძვრა და სხვანი?..

ყველა ეს კითხვები უტრიალებს თავში  
არა თუ ჩვენი დროის განათლებულ ხალხს, საბრალო ველურსაც  
კი: ველური ნამდვილი ბავშვია — ბავშვი უსუსური ჰქუაგონე-  
ბით; ის მოუხეშავია და მიმეთ აზროვნებს; არავითარი ცოდნა მას  
არა აქვს, წერა-კითხვა მისთვის სრულებით უცნობი, გაუგე-  
ბარი რამ არის; მიუხედავათ ამისა ველურს ბევრი რამ სურს  
გაიგოს, ბევრი რამ მის ყურადღებას მიიპყრობს. არ შეუძლია  
მას გაიგოს ბუნების მოვლენის მიზეზები; ამისთვის საჭირო  
ცოდნა არა აქვს, მისი თავი ვერც შეიძლებს ცოდნის შეთვი-  
სებას; სწორეთ ამისათვის ველური თავისებურათ ხსნის ყვე-  
ლაფერს, მისი ახსნა მეტათ სასაცილო და უაზროა, მაგრამ  
მას ძრიელ აკმაყოფილებს, სწამს, სწამს უფრო, ვიდრე ჩვენ

ჩვენი დიდებული მეცნიერითა ახსნა, გამოკვლევანი. ჩვენ კ სიცილს გყვების მათი ახილებული მეცნიერება. დევ იყვე სასაცილო, მაგრამ ეს ცხადია, რომ მათი სასაცილო მეცნი- ერება-პირველი ნაბიჯია ნამდვილი მეცნიერებისა. ჩვენი უძვე- ლესი წინაპარნიც ამ გვარი მეცნიერებით ართობდენ თავიან- გონებას. კარგათ თუ ცუდათ-მაინც ფიქრობდენ, მათი ჭიშ- მუშაობდა, გული მიისწრაფოდა ნამდვილი ჭეშმარიტების ცოდ- ნისაკენ, ერთი თემიდან მეორეზე გადაღიოდა ეს სურვილი, შთამომავლობიდან შთამომავლობზე, უფრო ელვიძებოდათ ყო- ველი ბუნების მიზეზების ახსნის სურვილი, აზრი მწიფდებო- და, ჭიშა უფრო კარგათ მუშაობდა, უაზრო ახსნა უფრო აზრიანს უთმობდა ადგილს, სიმართლე აძვებდა სიცრუეს. ცრუ მოგონებებს; ამ რიგათ თანდათანობით აშენდა უცნაურ საძირკელზე ნამდვილი ჭეშმარიტი მეცნიერება, რომ მეცნიერება, რომლითაც სამართლიანათ ამაყობს ჩვენი დროის განათლებული კაცობრიობა.

მეტი არ იქნება, რომ მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალი- თი, თუ როგორ ხსნიდა ჩვენი წინაპარი და დღევანდებ- ველური ზოგიერთ ბუნების მოვლენებს.

ქვეყნის გაჩენას ფილიპის კუნძულის ველური მცხოვრებნ- ამნაირათ ხსნიდენ:

მთელი ქვეყნიერობა შესდგებოდა ცისა და წყლისაგანთ. ამბობს ველური, ამათ შუა დაფრინავდენ ორი ორბნი, გა- ნუწყვეტელმა ფრენამ დაღალა ფრინველები, დასასვენებელი ატავილი არსად მოეპოვებოდათ, წასჩუბებს ამათ ცა და წყა- ლი ერთმანეთს, ცამ დაატაკა წყალს კუნძულები და ამნაირა- გაჩნდა ქვეყანაზე ხმელეთი, დასხდენ ხმელეთზე ორბები და დაისვენეს, ამ დროს წყალზე დაცურავდა ორ მუხლიანი ლერ- წამი, ტალღამ გამორიყა ლერწამი და დააგდო კუნძულზე ერთი ორბის ფეხქვეშ; ქარმა გააპო შუაზე ლერწამი, ერთი ნახევრიდან წარმოსდგა მამაკაცი, მეორესგან — დედაკაცი. ღმერ- თების ბრძანებით დაქორწილდენ პირველი აღამიანები, ამ დროს მოხდა პირველი მიწის ძვრა, დედა მიწა აივსო ხალ- ხით: ყოველი ველური თავის წინაპრებათ ამ კაცს და დე- დაკაცს სთვლის.

აი როგორია ინდოელის აზრი, თუ დედამიწაზე რო- გორ გაჩნდა ზაფხული:

“Հյուզելց դրո՞շի, ամեռիք ոճոյլուս Ցեպոր-ցազմույթի,  
գյղա-միթահյ մյոյոծի մյղմուցո և սօնելցը. յրտմա პարտա նա-  
գորմա, գյղոյցալոմ, մոո՛չոյլո և եցա նագորյեծ և ցաշընութա բա;  
կյուրիցունունան լաէյրումա ցրումա, սամո յարմա և լաջա  
նագելու; Ցյուս մյեռացընո մլոյր լալոնդըն, րոմ յե-  
սասոամոցն ցրում յարո մատ մո՛շոռդատ և լայնուցը լազնա-  
գյղոյցալոս ուրյետ, յրտո ուսարո մոեցը ցեռացըլս և մոշ-  
կլո. մուս լուսուլո լոյթո ցատելուրնուլո լարի բահյ լա-  
ցարդոյվլա ցարսյուլացըօթատ”. հասակորցըլուս յս ամեացո պաշար-  
սիմարտլց մոշլուցընուա.

Ամ ցարուց սապուրագլց ցարձմույթաս մոցոտերոնի  
անալո Ցյունոյուլո լուցուրո Մյուսեց ոմուս, ու և մոնենու,  
րոմ միուս հասցուս Մյամաց բահյ մուցարյ ամունու. լուցուցի  
մագոմ, ամեռիք Ցյունոյուլո, ուռյո մուսա միուս և մուց-  
արյուս, հուրա միուս ու լոյցու ուռյուս և ամուսա եռլոյ մուցա-  
րյ բահյ, լամուս լոյցուունուս ցաւանատյեցիուատ.

Վյուրո առպ միուս մոցուցեց սուցուց այսենյուատ: յա-  
նացըլ ոճոյլուս րոմ կյուտեռու, հուցան թարմուսլցը միուս  
գյանցուցիուա, այս մոցոտերոնի: միուս և մուցարյ ուռլու-վմարո  
արուան, ոմատ կյացու սապարյուլո ցայու; հուրա միուս մոյշըլց ցա-  
րյուս մյուլլու մուցարյու ծացմուս մոցում, ցամուրտմոյւս եյ-  
լունան ծացմուս և տոտոն օաոյցը եյլունո յանցուցիուա, ամ  
գրուս ծացմուս տացուս բանուտ բարացուս միուս սունատլոյս—  
ելցիա միուս գյանցուցիուա; հուրա միուս ծացմուս լոյցնոյ լոյցուցիուա  
ուռլու-գյանցուցիուա տացլուա.

Մուցարուս գյանցուցիուաս այս ենուս կուցու լուցուրո. լոյցի-  
ուցու մալլու ցամուլցուցիուա բահյ մուցարյուս, լայնուցիուա, լայնուցիուա  
լունանս, ցլոյչուս մաս, ամ գրուս սամրալու մուցարյ սուսելունո  
կյուրացու և մուսու ծրինոնցալոյ սայու ծնելուցիուա. առ ամուտուս-  
ոճոյլունո մուցարուս գյանցուցիուաս գրուս արտյեն եռլոյ պա-  
րուու-պոյցունո, սուցմուն լուռ-նալուրուս և ուսակցուս ուրյետ ուրյու-  
րուան—ամուտու լոյցանուցիուա մեցը և ցուսնուտ մուցարյուսու.

Ելցա-վյենուլո լուցուրուս անրուտ ամ նաուրագ թարմուս-  
ցուցիուա. բանու ցեռացըլուս մայունույրու միուտունասացու յալու, եյլունո  
լոյցուրացու լոյցուուտ սացսց լուցիուրու, գրու ցամուցընուտ մո-  
ւուս մաստան ժմա, Մյամշիկրացու յանուս լուուրուս լունուցրուտ, լու-

ტრიდან ნაპერწელები სცვივა — ეს ელვაა; ხმა კი დედა-მიწაზე ქუხილათ ესმით.

მოვიხენიებ აქ კიდევ მეორე თქმულებას. მზეზე მშვენიერი სასახლე დგას, ამ სასახლეში ცხოვრობს ერთი ფრინველი, სახელათ „დიდებული სული“. დრო გამოშვებით ეს ფრინველი დაეშვება დედა-მიწაზე, ამ დროს მისი მძლავრი ფრთების შრიალი ქუხილს წარმოშობს, საშიშარ თვალებიდან მოსხანს ნაკვერჩლები — ელვა. რა ლამაზი მოთხრობაა, მაგრამ მტრნარი სიცრუეა.

ეხლა გინდათ შეიტყოთ რა აჩენს მიწის ძვრას! ველური ფიქრობს, რომ ერთ მძლავრს დევ-გმირს, სახელათ მაუის, თავის უზარმაზარ ტანზე უჭირავს დედამიწა, როცა ის ცოტა შესწორდება, თან მდგომარეობას გამოიცვლის, გაინძრევა, ამითი მოხდება მიწის ძვრა. ველურებს სწამსთ, რომ თუ მაუის კარგად სცემენ, მიწის ძვრასაც შეაჩერებენ, ამ აზრით კეტებით შეიარაღდებიან და დაუწყობენ დედა-მიწას ცემას, „რადგან დევ გმირმა მაუიმ არ იცის თავის თავი როგორ დაიკიროს, მას მოუხდება გაწკეპლაო, ამბობს ველური.

უფრო უკეთესათ ხსნის კაზატკაში მცხოვრები ველური მიწის ძვრის მიზეზს. იმათ ჰყავთ ცალკე ღმერთი მიწის ძვრისა სახელათ ტული. ამ ღმერთს ძრიელ უყვარს მარხილით სეირნობა, მარხილში შებმული ჰყავს ძალლები. დასეირნობს ეს ღმერთი ქვესკნელში, სეირნობას არაფერი ვნება არ მოაქვს; მხოლოდ როცა ძაღლები დაიწყებენ თავის ტანიდან თოვლის ჩამობერტყას და ან რწყილებს იხილებენ, სწორეთ მაშინ ხდება მიწის ძვრა.

ეს მაგალითები ნათლათ გვიმტკიცებენ, რომ უაზრო გამოგონებებს, უთავბოლო ფანტაზიას კაცობრიობის განთიადზე ეპირათ მეცნიერების მაგიერი აღგილი.

ეხლა შევწყვიტოთ საუბარი ამაზე და ვნახოთ, თუ როგორ არის წერა-კითხვის საქმე ველურებში ჯაყენებული.

ჩვენ ბავშვობიდან გვასწავლიან წერა-კითხვას, ეს ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა არის ჩვენთვის, რომ არც დავფიქრებულვართ იმაზე, თუ საიდან დაიწყო ადამიანმა წერა-კითხვა და ან ვინ გამოიგონა პირველი ანბანი. იქნება ველურების წყალობით, გამოვარკვით, შევიტყოთ საქმე.

უმრავლესმა ველურთაგანმა, სრულებით არ იციან რა არის წერასკოთხვა, ამის დასამტკიცებლათ მოგაყვან თუ მაგალითს პატარა მოთხრობებით: ერთი მოგზაური ველურებთა მორის მუშაობდა რაღაც საღურგლობე, მას ბინაზე დაავიწდა იარაღი—გონიო, და მოინდობა მის მოსატანათ თავის ესახურის ველურის გაგზავნა ცოლთან, მაგრამ რაღგან ველურმა ამისი ენა არ იცოდა, აიღო ნაფოტი ზედ დასწერა ჩახშირით და მისცა ველურს. ველურმა მოუტანა გონიო, მაგრამ მის გაცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა „ნაფოტმა ლაპარაკი იცისო“. დიდხანს ატარებდა ველური ამ ნაფოტს უბით, აჩვენებდა თავის მეგობრებს და ამბობდა: „ლმერთო, რა საკვირა ცილებააო, პირი არა აქვს და ლაპარაკი კი შეუძლიაო!“

მეორე მაგალითი: ერთი ზანგი თეთრმა ბატონმა გაგზავნა წერილით მეზობელთან—ის ხშირათ უგზავნიდა მეზობელს წერილებს: ეელური უხალისოთ მიდიოდა, გზაში ვინც კი შეხვდებოდა გაჩერდებოდა და დაუშენებდა ლაპარაკს, მაგრამ ამ ლაპარაკის დროს წერილს ქვას ქვეშ ამოსდებდა. იკით რისთვის? წერილმა ლაპარაკი იცისო და ბატონს ეტკის ჩემს ცულლურობასო. განა საქსებით არ ამტკიცებს ეს მოთხრობები რომ ველურს არავითარი წარმოდგენა წერა-კითხვაზე არა აქვს. მაგრამ მიუხედავათ ამისთანა მაგალითებისა მათ შორისაც არიან ისეთები, რომლებშიაც შეხვდებით წერა-კითხვის ნასახს.

საკვირველი სანახავია ამათი ნაწერი. კა ერთი იმათგანი. დახედეთ, თქვენ იქნება გგონიათ ეს რაღაც ნაჯღა-



ბნი იყვეს. სრულებითაც არა, ეს მთელი არზაა ინდოელებისა. ამოქრილია ხის ქერქზე. ეს არზა გაუგზავნეს ჩრდილო-ეთ ამერიკის პრეზიდენტს ინდოელებმა.

რას ნიშნავს, რას ამბობს ნერავი ეს არზა? რა არის გამოხატული ქერქზე! სანამ გავარჩევდეთ ამ ახილებულ ხელ-ნაწერს ანუ მხატვრობას, მეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ინდოელების თითოეული თემი ატარებს რომელიმეცხოველის სახელს. ეხლა დაუკირდეთ მხატვრობას. წინ გამოხატულია წერო: ეს ლერბი ანუ საგვარეულოს ნიშანია იმ ინდოელებისა, რომლებიც წარმოსდგებიან „წეროს“ თემიდან. წეროს უკან გამოხატული არიან სხვა ცხოველები: კვერნა, დათვი, ზღვის კატა, კაცი და თევზი. ესენი სულ სახელებია, ან ლერბები სხვა ექვსი თემისა. დახედეთ ეხლა: წეროს თვალიდან ხაზებია გაყვანილი ყველა დახატულ ცხოველების თვალებთან; გული წეროსიც შეერთებულია ძაფებით სხვა ცხოველების გულებთან, ბოლოს ერთი გრძელი ძაფი ანუ ხაზი გაყვანილია წეროს თვალიდან ტბების ჯგუფთან, რომელიც გამოხატულია მარცხნივ სურათის კუთხეში. ეტყობა არზაში შემდეგი აზრია: ჩვენ შვიდი თემის მცხოვრებნი ინდოელები, ვთხოვთ პრეზიდენტს, რომ მან მოგვცეს ნება ვფლობდეთ ამ ტბებს. თქვენ იკითხავთ უთუოთ, საიდან, როგორ ამოვიკითხეთ ეს აზრი, აი საიდან: წინამძღვლი ყველი შვიდი თემისა „წერო“ წინ მიუძღვება ყველას; მისი თვალი შეერთებულია ტბებთან; ეს ნიშნავს რომ თხოვნა ეხება იმ ტბებს. ყველას თვალები უერთდებიან წეროს თვალს; სჩანს ყველა თემები თხოვლობენ იგივეს, რასაც წერო: გული წინამძღვლისა შეერთებულია ყველას გულთან, სჩანს სურვილი მათი ერთი და იგივეა: ყველანი გამსჭვალული არიან ერთი გრძნობით, ერთი სურველით, ყველანი ერთისა და იგივეს მთხოვნელნი არიან.


არა თუ მარტო ინდოელები, სხვა ველურებიც თავის აზრის გამოსახატათ ამ გვარათ ხატვენ, ხაზვენ სხვა და სხვა საგნებს ხის ქერქზე.

ხეებზე და სხვა საგნებზე ნახატები ნიშნავენ ზოგი ომს, ზოგი ნადირობას, ან სხვა რამე შემთხვევას. ამ გვარათ ველური თავის აზრს გამოხატავს და გაუგზავნის სხვა ველურს, ის კი

უსათუოთ გაიგებს, თუ რა უნდოდა ამ ნახატებით ეთქვა იმი-  
სთვის დამხატავს. ამაზე შეტი არ იყო ველურების წერა-კითხ-  
ვის ცოდნა. მაგრამ იციოთ თქვენ, რომ ეს საუცხოვო მოხერ-  
ხებული ან-ბანი საძირკველათ დაედვა იმ ან-ბანს, რომლითაც  
დაწერილია ეს წიგნი? გაგიკვირდებათ, მაგრამ ვეცდები რომ  
კარგათ გაგაებინოთ როგორ მოხდა ეს დაუჯერებელი ამბავი:

რამდენიმე ათასი წლის წინეთ ძველმა ეგვიპტელებმა  
უკვე იცოდენ წერა. მათი წერა ბევრათ არ განიჩეოდა ვე-  
ლურ ინდოელების ნაწერებისაგან; მაშინდელი ეგვიპტელი  
გამოხატავდა თვითეულ საგანს ქვაზე, ან უფრო ძვლებზე, თვი-  
თეული საგანი სიტყვა იყო, ბევრი საგნები ერთი მეორესთან  
ჩამწრივებულები მთელი აზრი. მაშინდელი ეგვიპტელი რო-  
გორც სჩანს ისე მოქმედობდა, როგორც ველური ინდოელი.  
გაძიოდა დროება და იცვლებოდა წერაც. თვითეული გამოხა-  
ტული საგანი ახლა სიტყვას კი არ ნიშნავდა, არამედ რომე-  
ლიმე ასოს. მაგალითათ მინდა დაწერო სიტყვა ლევან. ეს  
სიტყვა შესდგება ხუთი ხმისაგან, ამისათვის ვიღებ ხუთ საგანს  
და ვხატავ ანუ ვჭრი ქვაზე ან ხეზე: ლომს, ენას, ვირს, არ-  
წივს, ნაძვს. შემდეგ ვაერთებ დასაწყის ხმებს ყველა საგნებისას  
და გამოდის სიტყვა ლევან. ამ ნაირათ ხუთი საგნის გამო-  
ხატვით მე შევადგინე სიტყვა ლევან. ამ გვარათ იქცეოდენ  
ძველი ეგვიპტელები. ისინი შეთანხმდენ და სხვა და სხვა ხმე-  
ბი გამოხატეს სხვა და სხვა სურათებით, ამავე დროს ამ გვა-  
რათ მოქმედობდენ: თუ უნდოდათ გამოხატათ ხმა ა ისინი  
იღებდენ ისეთ საგანს, რომელიც იწყებოდა ანით. თუ სურ-  
დათ ხმა ბ გამოხატათ იღებდნენ საგანს თავში რომ ბანი  
ჰქონოდა, სწორეთ ისე, როგორც ჩვენ შევადგინეთ სიტყვა  
ლევან. ის სწორეთ ასე აქვთ ეგვიპტელებს გამოხატული  
სიტყვა კლეოპატრა, სახელი მათი დელოფლისა. სანამ ეგვიპ-  
ტელები ქვებზე ხატავდენ, ანუ უკეთ ვთქვათ სჭრიდენ სურა-  
თები გარკვევით სჩანდენ, ადვილათ გაირჩევოდა ერთი მეო-  
რისაგან; მაგრამ ბოლოს გამოიგონეს ერთ ნაირი ქალალდი,  
რომელსაც „პაპირუსი“ ეწოდა იმისთვის, რომ აკეთებდენ  
ერთნაირი მცენარე პაპირუსისაგან. ამ ქალალდზე დაიწყეს წე-  
რა, მაშინ სურათები ჩქარი უხატებოდა, ისე გარკვევით და  
სისწორით აღარ გამოდიოდენ ქალალდზე, როგორც ქვაზე.

მწერლები ცალ-ცალკე არ ხატავდენ, ამათ ეხლა ჩქარ-ჩქარა გამოჰყავდათ საგნება, ძალიან როულ სურათს, რომელსაც ქვაზე დიდ დროს ანდომებდენ ქალალზე კი ერთი ორი ხაზის გასმით ხატავდენ, ანუ უკეთ ეხლა საგნის ნიშნებს სწერდენ მელნით. ასე რომ სურათების აფებილი ნიშნებმა დაიჭირეს. ამა დაუკვირდით ამ სურათს: ეს ეგვიპტელების წარწე-



რებია, აქ საგნები გარკვევით აღარ სჩანან, მხოლოთ რაღაც საგნების მსგავსი ნიშნებია, მნელათ დაიჯერება რომ ეს იგივე ნიშნებია, როგორც წინეთ იყვენ ხმარებაში, მხოლოთ ესენი ჩქარის ხელით არის დაწერილი და არა დახატული.

უძველესმა ხალხმა ფინიკიელებმა ისარგებლეს ეგვიპტელების უკანასკნელი დროის ნაშერებით და გამოიგონეს თა-

				ვისი ან-ბანი. ა. დახედეთ -- თქვენ
				წინ გამოხატულია სამი რი- გი სხვა და სხვა ნიშნებისა: პი- რველი-უძველესი ნიშნები ეგ- ვიპტელებისა, რომლებსაც ისი- ნი ქვებზე გამოსკრიდენ, მეორე რიგი - იგივე ნიშნები ხოლო გა- მოხატული მელნით პაპირუსზე,
				მესამე ფინიკიელების ან-ბანი, რომლებიც წარმოსდგენ ეგვიპ- ტელების ჩქარა დაწერილი ნიშ- ნებიდან. ფინიკიელებმა თავისი ან-ბანი მეათე საუკუნეში ქრის- ტეს დაბადებამდე მოიგონეს. ამათგან ისარგებლეს ბერძნებმა

და ებრაელებმა. ბერძნებიდან კი წერა-კითხვის ცოდნა გადავიდა მაშინდელ რომაელებში, რომაელებიდან გადავიდა გერმანელებში, ფრანგებში და სხვ. დასავლეთ ევროპის ხალხებში. ბერძნებიდან ისარგებლეს წმიდა მამებმა კირილებ და მეთოდებ მერვე საუკუნეში ქრისტეს აქეთ, შეადგინეს სლავიანური ან-ბანი, სლავიანურიდან შედგა ეხლანდელი რუსული ანბანი.

ახორ ხომ ხედავთ რა სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას ველურების ქვაზე და ხეზე გამოხატულმა ნიშნებმა. ვინ იცის ის ახირებული წერა რომ არ ყოფილიყო, იქნება ჩვენი ანბანიც არ ყოფილიყო.

ამითი ვამთავრებოთ ველურებზე საუბარს; თქვენ თვალ წინ გადავიშალეთ სხვა და სხვა სურათები პირველ ყოფილი აღამიანისა და ეხლანდელი ველურის ცხოვრებისა: რომ შევადაროთ მათი ცხოვრება, ზენ ჩვეულებანი იმასთან, რაც ახლა ჩვენ სოფლებში და ქალაქებში ხდება, დიდ განსხვავებას ვნახავთ.

მართლა რომ დიდი განსხვავებაა! ბევრი, ძრიელ ბევრი ველურების და პირველ-ყოფილი აღამიანის ცხოვრება ჩვენ საკვირველათ და ჩვენთვის გაუგებრათ მიგვაჩნია, მაგრამ რომ კარგათ დაუკვირდეთ ყველაფერს ვნახავთ, რომ უსსოფარი დროის ჩვენი წინაპრების ცხოვრება ძრიელ ცოტათი განსხვავდება, ეხლანდელი ველურების ცხოვრებიდან. განვლეს საუკუნეებმა ცხოვრებამ წინ წაიწია, გაუმჯობესდა და ველური განათლებულ აღამიანათ გარდაიქცა. კვლავაც უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ხალხი სულ უფრო და უფრო განვითარდება, უფრო განათლებული და ჭივიანი გახდება.

### იტა ნაკაშიძე.

(დასასრული)



# მოკლე ცნობები

თვალთ უჩინარ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან.

(ტმარტფესი ცნობებით)




ხლა შევიტყოთ თუ ორგორ და რა საშუალებით ებრძვის ჩვენი ორგანიზმი მასში შემოხვევით შესულ და დაბუდებულ მიკროორგანიზმებს და განსაკუთრებით სენის გამომწვევ ბაკტერიებს. ჩვენი ორგანიზმი ებრძვის მათ თავის არსებობის დასაცვლათ და ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. ამ ბრძოლაში ყველაზედ შეტანილი და გამოიყენებას ადამიანს უწევს სისხლის თეთრი ბურთულები (ლეიკოციტები). შეიტყობენ თუ არა ამა

თუ იმ ბაკტერიების შემოსევას, მთელი გროვა ლეიკოციტების თავისი პსევდოპოდების შემწეობით მკვირცხლათ გამვრებიან სისხლის მი-

ლის კედლებში, მტერთ თავს და ეს სხმიან, გარშემო ალყას შემო-

არ ტყმენ და შთანთქამენ. აშ, მოვლენას, ესე იგი ლეიკოციტების მიერ ბაკტერიოების შთანთქვა--განადგურებას რუსის გამოჩენილმა მეცნიერმა მეჩ-ნიერმა მეჩნიკოვმა სახელმა ფაგოციტოზი უწოდა. ხშირათ მოხ-



სურ. 1. სისხლის მილი, შივ გხედავთ სისხლის წითელს და თეთრ ბურთულებს, ერთი ამათგანი მილიდან ვარეთ გამოსულა, ხოლო სამსი მილის კედელი გაუხვრეტია და გამოსულას აპირობენ.

დება, რომ ლეიკოციტები ყველა შემთხვევაში ვერ გაიმარჯვებენ, ეს უმეტეს ნაწილათ მაშინ მოხდება ხოლმე, როცა ჩვენი ორგანი. ზმი დასუსტებული და დაუძლეურებულია, ამ დროს ლეიკოციტებიც ნაკლებ ძალ-ღონესა და სიცხოვლეს იჩენენ და სენის გამჩენ ბაკტერიებთა შემოსევის წინ ვეღარ აღუდგებიან, ომი თავიდება ბაკტერიების სასარგებლობა, ისინი ჩვენ ორგანიზმში დაბუდდებიან და სხვა და სხვა საშიშ ავადმყოფობას გამოიწვევენ. \*) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ლეიკოციტებმა ერთხელ გაიმარჯვეს და სძლიერ მავნე მიკრობებს, შემდგომში მათ უფრო რო გაუადვილდებათ მათთან ბრძოლა, ისინი უფრო მეტს ძალ-ღონესა, მხერიანდებას და გამოცდილებას იჩენენ საწინააღმდეგო ბრძოლაში.

მეჩნიაკოვის აზრით ლეიკოციტების ამგვარ თვისებას უნდა მივაწეროთ ის საკვირველი მოვლენა, რომ თუ ადამიანი ერთხელ გადაურჩა რომელიმე გადამდებ სენს, ანუ როგორც იტყვიან, ესა თუ ის მოარული სენი მოიხადაო, მეორე ხელ მას ეს სენი აღარ შეეყრება და თუ შეეყარა ძლიერ მსუბუქათ გადიტანს.

ფრანგმა მეცნიერმა შოვომ ის აზრი გამოთქვა, რომ მოარული სენის გამოვლილი ადამიანი მეორე ხელ ამავ სენით მიტომ არ ხდება ავათ, რომ მიკრობები მის სხეულში სტოფებენ ისეთ ნივთიერებას, რომელიც ხელს უშლის ამ გვარივე მიკრობის შესვლას და შესევასო.

გერმანელი მეცნიერი კლების ამტკიცებდა, რომ პირველ დავადების დროს ტანში დაბუდებული მიკრობები სპობენ და ანადგურებენ იქ ყველა მათ მასაზრდოებელ ნივთიერებასო და თუ ხელ-მეორეთ შემთხვევით ტანში შევიდენ თავის გამოსაკვებ ნოჟიერ საზრდოს ვეღარ პოულობენ და შიმშილით იხოვებიანო. უმეტესი ნაწილი ეხლანდელ მეცნიერთა მეჩნიაკოვის აზრს უფრო ემხრობიან. მეჩნიაკოვმა სანგრძლივი და მუყაითი შრომის და კვლევა-ძიების შემდგომ დანამდვილებით დაამტკიცა, რომ რამდენიც ადამიანის და საზოგადოთ ცხოველი ორგანიზმის სისხლში შეიფი ლეიკოციტები ხარბათ დაწაფებიან და შთანებულ შემოსულ მიკრობებს, ესე იგი რამდენიც ჩვენ ორგანიზმში ფაგოციტოზი გაძლიერებულათ სწარმოებს, იმდე-

\*) იმიტომა რომ ბევრი მოარული სენი უფრო გავრცელებულია და უფრო მძინვარებს სიმშილობის და ომიანობის შემდგომ.

ნი ის იშვიათათ და, მოარული სენით უფრო მსუბუქათ ხდება ხოლმე ავათ.

ლეიკოციტები არა თუ იჭერენ და ანადგურებენ მიკრობებს, არამედ კიდეც ჭიმნიან, ამზადებენ ერთნაირ რთულ ნივთიერებას სახელლობრ ალექსინს, რომელიც მოთავსებულია და შეზიავებული სისხლის შრატში. ალექსინი თვალსაჩინოთ აქარწყლებს და აქრობს მიკრობების მიერ მომზადებულ მომწამვლელ შხამებს. ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ ყოველ შემთხვევაში არც მიკრობი იჩენს ერთნაირ მომწამლავ ძალას, მის მიერ მომზადებულ და დამუშავებულ შხამს ყოველთვის ერთნაირი სიძლიერე როდი აქვს. პასტერმა მრავალ გვარი გამოცდის შემდეგ დაამტკიცა, რომ შესაძლოა სხვა და სხვა საშვალებით ამათუ იმ ბაკტერიის მომწამლავი თვისება შევამციროთ, მისი შხამი რამდენათმე გავანელოთ, სიძლიერე მოვაკლოთ. ეს გამოცდა პასტერმა პირველით მოახდინა ქათმის ჭირის მიკრობულები. ამ სენით ავაღმყოფი ქათმი საკენქს თავს ანგებებს მოწყენილია და აბუზული, ფრთხები ჩამოყრილი აქვს, ძლიერს დაბარბაცობს, უფრო ხშირათ კი სთვლებს. სენი ვრცელდება განავალით, რომელიც მრავალ-ურიცხვ ამ ჭირის ბაცილებს შეიცავს. საშინელი რამ არის ეს სენი და დიდ ზიანსაც აყენებს შინაურ ფრინველთა მომშენებელთ; ხალხი ამ სენს ქათმის ხოლერას ეძახის. პასტერს ხელთ ჰქონდა პატარა ბოთლი ბულიონით, ბულიონზე მოშენებული იყო ეს მიკრობი, ერთი სიტყვით, ხელთ ჰქონდა ამ მიკრობთა გროვა, ანუ როგორც სწავლულები იტყვიან ხელთ ჰქონდა ამ მიკრობის ახალი კულტურა. პასტერმა აიღო ამ მიკრობიანი ბულიონის ერთი წვეთი და საღ ქათმებს შეუშხაპუნა, აუცრა, ქათმები უცებ დაისხოვნ, მაგრამ ამ გამოცდის დროს მან შეამჩნია, რომ რამდენიც ხანგრძლივ და პირ ღია დასტოვებდა დიკრობიან ბოთლს, იმდენი მეტი ძალა აკლდებოდა მიკრობს. პასტერმა აიღო უფრო ხან განათევ მიკრობიანი ბულიონის ერთი ნამცეცი, თითქმის ნემსის ყურწის ოდენა და აუცრა საღ ქათმას. ქათამი მხოლოთ ოდენავ ავათ გახდა და მალე მორჩა. შემდეგ პასტერმა ამავე ქათამს თანდა-თან უფრო და უფრო მძლავრი საწამლავი (მიკრობი) აუცრა; ამ გზით ქათმის აგებულობა საწამლავს ისე შეეჩია, რომ

უძლიერესს საწამლავსაც კი გაუძლო. ამ გვარი გამოცდით პასტერი ერთის მხრივ დარწმუნდა, რომ შესაძლოა ყოფილი მიკრობის შხამის შემცირება, ხოლო მეორე მხრივ შეიტყო, რომ ცხოველი ეჩვევა ამა თუ იმ საწამლავს, ასე რომ თუ ცხოველმა განელებულ საწამლავს გაუძლო, შეეჩია, ის ძლიერ საწამლავის გადატანასაც მოახერხებს, მაგალითათ, თუ საღ ქათამს აუცრით ქათმის ჭირის სუსტს მიკრობს, მის ცოტაოდენ შხამს, მას მერმის ნამდვილი ბუნებრივი ჭირიც რომ დაემართოს ვეღარას დაკლებს, ადვილათ მოიხდის.

ამ გვარი წესით პასტერმა შემდგომ გამოიკვლია და ხმა-რებაში შემოილო სხვა გადამდებ სენთა აცრა. მაგალითათ ციმბირის ჭირის (ჯილეხის) და ცოფით ავადმყოფობისა. პირველი ამ სენთაგანი ძლიერ ეტანება შინაურ წვრილ-ფეხ საქონელს: ცხვარს, ძროხას და დიუს ზარალს აყენებს ცხვრის ფარის და ჯოგის პატრონთ. ეს სენი ადამიანსაც დაემართება და ხშირათ წუთისოფელს ასალმებს, მეორე ავადმყოფობა — ცოფი საშინელი რამ სენთაგანია, ამ სენის საწამვლავი უმთავრესათ ცოფიანი ცხოველის დუქში იმყოფება, ადამიანი ამ სენით მაშინ გახდება ავათ, როცა მას ცოფიანი პირუტყვი (ძალი, კატა, მგელი) უკბენს, ესე იგი როცა საწამლავიანი დუქი მის სისხლში შეატანს, შევა. წინათ სანამ აცრა არ იყო შემოლებული ცოფით ბეჭრი იხოცებოდა, ეხლა თუ დაკბენილმა ადრე აიცრა, ასში ერთი თუ მოკვდა, ისიც ბეჭრია.

ამ სენის გამომწვევი მიკრობი ჯერ არ აღმოუჩენიათ, ფიქრობენ კი, რომ ის იმყოფება ტვინში და ეკუთვნის უმარტივეს ცხოველთა მოდგმას; ცოფის ასაცრელ საწამლავს თვით ცოფიანი პირუტყვის ტვინისაგან ამზადებენ. ეხლა თითქმის ყველა ქალაქებში და ჩვენ თფილისშიაც დაარსებულია განსაკუთრებული ასაცრელი სადგურები, რომელთაც „პასტერის სადგურებს“ ეძახიან. უნდა შევნიშნოთ რომ პასტერამდისაც იყო შემოლებული გადამდებ სენის აცრა, მაგალითად ყვავილის აცრა. თითქმის ასის წლის წინეთ პასტერამდის ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენნერმა 1796 წელს პირველმა აუცრა ადამიანს ყვავილი. ჯენნერმა შეამჩნია, რომ ადამიანის და ძროხის ყვავილი ერთი და იგივე ავადმყოფობაა, რომ ამ სენით ხშირათ ავათ ხდებიან ძროხის მწველელი დე-

დაკაცები, რადგან ძროხას ეს სენი უმთავრესათ გამოაჩნდება ზოლმე ცუნეზე პატარა მუწუკების სახით. ჯენერმა ისიც შეამჩნია რომ ძროხიდან გადმოდგებულ ყვავილს აღამიანი ადვილათ იხდის და შემდეგში მას ბუნებრივი ყვავილი ან სულ არ დაემართება, ან თუ დაემართა—ძლიერ სუბჟექტი. ჯენერმა ვინც კი მოისურვა, ყველას იუცრა ძროხის ყვავილი, რასაც შესამჩნევი შედეგი მოჰყვა, არც ერთი აცრილთაგანი ყვავილით ალარ გამხდარა ავათ. ამ გვარათ შემოლებულ იქნია ყვავილის აცრა. ასაცრელ მასალას, რომელსაც სახელათ „ვაკცინა“ ჰქვიან, ეხლა ამზადებენ განსაკუთრებულ დაწესებულებებში, საღაც ყვავილს ჯერ აუცრიან საღ ხბოებს ცუნეზე და როცა ანაცერი ალაგი დაუმუშტუკდება, გაკვეთენ და ჩირქს მინის პატარ-პატარა ქურჭლებში მოათავსებენ და თავს კარგათ დაუცავენ და ამ სახით ხალხს აწვდიან ასაცრელათ. ყვავილის აცრა ეხლა თითქმის ყველგან სავალდებულოა. როცა ასეთ ჩირქით (ვაკცინა) ადამიანს აუცრით, ჩვენ მაშინ მის სხეულში შეგვაქვს ამ სენის გამჩენ მიკრობთა შესუსტებული, დაკლებული სიძლიერის მქონე შხამი, რომელიც ორგანიზმს მატებს რაღაც ძალას, უფრო მარჯვეთ ებრძოლოს ამ საშინელ მოარალ სენს.

მართალია ჯენერმა შემოილო ყვავილის აცრა და მით დიდი ლეაწლი დასდო კაცობრიობას, მაგრამ მან ვერ აგვიხსნა თუ რაში მდგომარეობდა უმთავრესი აზრი ამ ფრიად შესანიშნავი აღმოჩენისა; ამიტომ ამ ბრწყინვალე აღმოჩენამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია სხვა გადამდებ სენთა საწინააღმდეგო აცრის გამოგონება და შემოლებაზე. ამის ახსნა და განმარტება წილად ხვდა პასტერს, რომელიც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, მამა-მთავარია მოარულ სენთა შესახებ სწავლა-მოძღვრობისა.

მართალია ზოგიერთ შემთხვევაში აცრა იფარავს და უზრუნველ ჰყოფს აღამიანს ზოგიერთ გადამდებ სენის შეყრისა—გან, მაგრამ ბევრია ისეთი მოარული სენი, რომელთა აცრას არავითარი სასურველი ნაყოფი არ მოუტანია. ამიტომ მეცნიერნი ძალიან ცდილობდენ რაიმე საშვალების გამოგონებას და ასეთი საშვალება ნახეს სისხლის შრატში.

გადამდებ სენთა შრატით წამლობა უმთავრესათ შეიმუშავა


და შემოილო პასტერის მოწაფეებ რუმ და გერმანელმა სწავლულმა ბერინგმა. შრატით ამ ხანათ სწამლობენ ისეთ მოარულ სენებს, როგორიც არის მაგალითათ ხუნაგი, ზავი ჭირი, წითელი ქარი, ქუნთრუშა და სხვა.

ხუნაგის საწინააღმდეგო შრატს შემდეგის წესით ამზადებენ: ცხენს აუკრიან თანდათან მომეტებულ მძლავრ კულტურას ხუნაგის ბაცილებისა, ძლიერ სუსტიდან დაწყებული მეტის მეტ ძლიერამდე, აცრის პირველ ხანებში ცხენს ძალიან გააცივებს, სიცხეს მისცემს, გამოაჩნდება ხუნაგის ნიშნები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცხენის ორგანიზმი ისე შეეჩვევა ხუნაგის შხამს, რომ მძლავრი შხამიც რომ შევუშხაპუნოთ მაშინაც ვერაფერ ცვლილებას ვეღიარ შევამჩნევთ. ამ შემთხვევაში ხუნაგი თავის შხამით ჰყარგავს ყოველივე გავლენას ცხენის ორგანიზმზე ანუ როგორც სწავლულები იუყვიან ცხენი იმშუნიტეტს იძენს, მას ხუნაგი ვეღარას ავნებს. ამ გვარათ ხუნაგიდან გადარჩენილ ცხენს გაართმევენ სისხლს და მოათვავსებენ სუფთა მინის ჰურპელში. ცოტა ხნის შემდეგ სისხლი შედედება და პირზე მოიგდებს მოყვითანო სითხეს — შრატს. შრატს გაწურავენ განსაკუთრებულ საწურავში და მჭიდროთ თავდაცულს ბოთლში მოათავსებენ. ასეთი შრატი, რომ საღადამიანს კან ქვეშ შევუშხაპუნოთ ხუნაგის შეყრისაგან დავითარავთ, ხოლო თუ ხუნაგით ავადმყოფს დროზედ მივაშველებთ სიკედილისაგან დაიხსნის. სჩანს, რომ ამ შემთხვევაში შრატში თავი იჩინა ისეთმა ნივთიერებამ, რომელიც ბაკტერიების მიერ გამოდენილ შხამს (ტოქსინს) ანელებს და აქარწყლებს.

ყველა ზემოთ მოხსენებული თვისება სისხლისა, მისი დიადი მნიშვნელობა სენის გამჩენ მიკრობებთან ბრძოლაში მეცნიერებამ დიდი ხანი არ არის რაც შეიგნო და საფუძვლიანათ შეისწავლა.

ივ. თიკანებე.

(დასასრული)



# მამა ფენელონი მეჯლისს ესწრება.

(ფრანგულიდან).



ყოველთაოთ ცნობალი ყოვლათ სამღვდელო ფენელონი, რომელიც იყო მეფე ლუდოვიკ XIV-ის შვილის ხელმძღვანელი წეს-აიგის დიდი მოყვარული იყო. მისი მშვიდი ხასიათი და მოწყალე გული ყველას იზიდავდა.

ერთხელ, ქალაქ ამიენში ყოფნის დროს, ფულის ქისა, რომელიც უფრო ღარიბებს ეკუთვნოდა, სრულებით დაუკალიერდა, რაღაც ღარიბებს უხვაო ურიგებდა ფულს. ამ მდგომარეობამ ყოვლათ სამღვდელო ძალიან შეაწუხა, იგი ველარ გასცემდა მოწყალებას და უძლური ღარიბები ღარჩებოდენ უმწეოთ.

ამან დიდათ დააღონა შამა ფენელონი, არ იცოდა როგორ ეშოვნა ფული. ერთს საღამოს დაფიქრებული იჯდა, ამ დროს შემოუტანეს ამბავი, რომ ამიენის ქალაქის უფროსი ამ საღამოს შართავს დიდ მეჯლისს ქალების დროს გასატარებლათ.

ყოვლათ სამღვდელო ისე მოწადინე იყო გაეცა მოწყალება, რომ მოინდომა ამ შემთხვევით ესარგებლნა.

გახდა თუ არა ათი საათი შამა ფენელონმა, იმის მაგივრათ რომ შესულიყო მოსასვენებლათ, გასცა ბრძანება შეებათ ეტლი და წაბრძანდა მეჯლისში დასასწრებათ ქალაქის უფროსის სასახლეში.

მეჯლისი უკვე დაწყებულიყო, მამა ფენელონი რომ მიბრძანდა. მის მისვლისავე შეწყდა ცეკვა. ქალებს, რომელნიც საგანგებოთ იყვნენ მორთულნი შეეშინდათ, რომ ყოვლათ სამღვდელომ ძვირფასი მორთულობისთვის საყვედური არ გვითხრასო და ოთახებში გაიფანტენ.

ქალაქის უფროს არაფრათ იამა ეს ამბავი. მაგრამ მოწიწებით მიეცება ყოვლათ სამღვდელოს და მისალმების შემდეგ ბოლიში მოიხადა, რომ ამისთანა დიდი სტუმრობა დაუხვდა და სთხოვა ცალკე ოთახში შემობრძანებულიყო მოსალპა-რაკებლათ იმ საჭირო საქმეებზე, რომელთაც აიძულეს იგი უდროოთ მოპრძანებულიყო.

— მე საიმისო არაფერი სამქმე არა მაქეს, უპასუხა ფერ ნელონმა,— მინდა მხოლოთ ერთ რასმეში გამოგიტყდეთ, მე ოთხმოცი წლისა ვარ და წარმოიდგინეთ ჩემ დღეში მეჯლისი არ მინახავს. აი, ეს არის მიზეზი, რომ ამ სალამოს მოველ თქვენთან. გამოუტხადეთ თქვენ სტუმარ-ქალებს, რომ მე არას დაუშლი, ვითომ არც კი მოვსულვარ აქა.

სტუმარნი ჯერ ძნელათ შემოდიოდენ დარბაზში, მერე ცოტა გამხნევდენ და ბოლოს ყოვლათ სამღვდელოს გარსაც შემოეხვივენ. ფერელონის გამხიარულებამ—ისინიც გაამხიარულა. დაუკრა მუსიკამ, ცეკვა-თამაში ხელახლათ დაიწყო.

— გთხოვთ ოჩიოდ წუთით ყურადღება მომაქციოთ, სტუმარ-ქალებო, უთხრა ფერელონმა და ხელით ანიშნა მუსიკა ჩაჩრდებულიყო.

— მე მახარებს, რომ თქვენ ამ სალამოს ცეკვამთ, მხიარულობთ, სიამოვნობთ, ჩემ ლარიბებს კი ლუკმა-ჰური არა აქვთ, ცრემლებს ღვრიან. მოგმართავთ თქვენ, იქნება ინებოთ და მათ ცრემლები შეუშროთ.

— აი მათი ქისა, უჩვენა მან თავისი თოფრაკი.— ხედავთ, ცალიერია...

— ჩვენ მაგას აგიმსებთ, ყოვლათ სამღვდელოებავ, უთხრეს სტუმრებმა,— მხოლოთ ერთი პირობით, თქვენც უნდა იცემავთ...

— დიდი სიამოვნებით, წამოიძახა უნებლიერთ ფერელონმა, რომელიც იმ წუთას მხოლოთ თავის ლარიბებზე ფიქრობდა.

ერთ წამს ფერელონის ვეებერთელა ქისა დარბაზში ჩამოატარეს და ფული უხვათ მოაგროვეს.

მაშინ ქალებმა სთხოვეს ყოვლათ სამღვდელოს, რომ მასაც დაპირება აესრულებინა.

— მართალია, მე დაგპირდით ვიცეკვებ მეთქი, კიდევც ვი-

ცეკვამ, უთხრა ფენელონშა ღიმილით,— მხოლოდ დამავიწყდა მეოქვეა, რომ კვირაში ორ დღეს არ შემიძლიან... დღეს რა დღეა?

— ოთხშაბათი გახლავთ, ყოვლათ სამღვდელოებავ.

— ოთხშაბათი? მართლაა! ძალიან ვწუხვარ, სწორეთ მაგ დღეს არ შემიძლიან... მაგრამ რაც ჩემთვის შეუძლებელია ეგ იმას კი არ ნიშნავს, რომ თქვენც არ შეგეძლოსთ იცეკვეთ, ქალებო, იმხიარულეთ, დრო გაატარეთ,... ღამე მშვიდობისა...

ქალებმა განაგრძეს ცეკვა-თამაში. ყოვლათ სამღვდელო დაბრუნდა სახლში დიდათ გახარებული, რომ მან თავისი ღარიბებისთვის ბლომათ იშოვნა ფული.

### ან. წერეთლისა.



# მცველის სათავე, ჭრობი და თამარ გავა

ზგზაგრის დღიურიდან.

(შემდეგი)



მოეწონა ადამიანს ეს პატარა წალკოტი, შეკშურდა მცენარეთა, მწერთა და ფრინველთა ფუფუნება, თანაცკუნძული იმდენათ იყო დაშორებული დედა-მიწის კიდეს, ნაპირს, რომ სრულებით ვერ მიეკარებოდა ვერავითარი მხეცი. ამ გარემოებამ უფრო წაახალისა, ადგა და თითონაც დასახლდა შშვენიერ კუნძულზე თავის ცოლ-შვილით, შეუდგა საქმეს: დაბარა, დათესა ბოსტნეული, ხორბალეული, გაიჩინა ერთნაირი ფრინველი და ცხვველი, თხა და ოორი და ზღვაშიაც ხო თევზი და კიბო ულეველი იყო, სხვა რაღა უნდოდა მის ბედს ახლა ძალიც ვეღარ დაჰყეფდა.

— ე, და, კნიაზო, მერე სასმელი წყალი რო არ ექნება, როგორ გასძლებს.

— მართალი ხარ, დანიელ, მაგრამ აბა ჰკითხე ხაჩატურალის: დავით გარეჯეს უდაბნოში რასა სვამენ ბერ-მონაზონი და მათი კრებული?

— ვა! მაშ არ ვიცი... წვიმის წყალსა სვამენ, კლდეებში, ტინში აქვთ ამოქრილი ქა და ამ კებში გროვდება, ინახვენ, მინამ ახალი წვიმა მოვიდოდეს, აქა იქ განა თუ არ არი, წყაროც არის, ტბაც, მაგრამ კნიაზჯან, პარონებო, ისეთი მლაშეა რო წათხი...

— თანაც, აბა რა შესადარებელია მწირი უდაბნო და ზღვის აყვავებული კუნძული. როგორ გაჩნდა ქვეყანაზე წყარო და მდინარე? აქაც, ამ კუნძულზედაც, ხშირი წვიმებისაგან წყაროც გაჩნდება და მდინარეც, თანაც ადამიანი თავის სო-

ფელთან, მეზობლებთან როდი ჰერგავს კავშირს — ნავით და ნავტიკით კარგათ იცის ცურვა — დაამთავრა ლექტორმა.

— ნება მიბოძეთ, ბ-ნო ლექტორო, თქვენს მშვენიერ ლექტიას ორიოდე სიტყვა მეც დაუშატო — მივმართე მე, — მაღლა, ზღვის ზეთ ამოტანილი მარჯნის კუნძულები ხო საოცნებო არიან თავის მშვენიერებით, მაგრამ აქ, რაც უნდა იყოს, ცოდვილი ადამიანისაგან ყოველივე იპილწება. ჩემი სურვილია შიგ ზღვაში, მარჯანთა წალკოტში დავიმარხო...

— მაგას რათ ბძანებთ, ბატონი... რა დროს თქვენი სიკვდილია, ღმერთმა დაგითაროთ...

— მოიცა, დანიელ, ნუ მიშლი... ჰო და ის უნდა მოგახსენოთ, რომ ბუნების ქულეველს, ცნობილს მეცნიერს ჰეკ-კელს არაბეთის კიდესთან, მეწამულ ზღვაში ჩაუხედნია, საღაც პატარა სილრმეზე დაპევედრია მარჯნის რიფები, მათი ნაშენი კუნძული, ჩასულა ზღვაში და მის ბედნიერ თვალს რა საკირველება უნახავს, რა აღტაცებაში მოსულა, ამ თავის შთაბეჭდილებას აგრე რა დიდის ხელოვნებით, რა მხატვრულათ გადმოგვცემს:

„ყველათ შეუძლებელია დიდებულმა მხატვარმა კალმით დახატოს, ვინმემ ასწეროს, ენა-პირით გამოსთვეს, ის სრული მშვენიერება ზღვის ედემისა, რომელიც მარჯანთ და სხვა მათებრ ლამაზ და ლამაზ ცხოველებს შეუქმნიათ!..

უკრელ-სხიოსანი კეკლუც ვარსკვლავნი ვით სურნელოვანი ყვავილნი, აგრე მთლათ ავსებენ პატარა მიდამოს 4—5 ადლის სივრცისას. მარჯნის ბუჩქთა თვითეულ ტოტზე ყვავილი ყვავილზე ზის ერთი მეორეზედ უტურფესი. ბუჩქთა ძირებში მრავლათ გაფანტულინ, ფერათ — ფერადებათ მოელვარე ყვავილები, მზის სხივებზე ბზინავენ, ბრწყინავენ, ადამიანს თვალს სჭრიან. ესენი, ეს ბადიის მსგავსი პაწია ყვავილები, ახლო რო გავიცან, თურმე ესენიც მარჯნები ყოფილან, უფრო კარგათ რო მივიხედ-მოვიხედე, დავაკვირდი იმ მრავალ ფეროვან, ხავსის ხალიჩასაც, რომელიც ბუჩქსა და ბუჩქს შეა არის დაფენილი, აქ კი სწორეთ რო ვიღაცის ჯადოსანის ხელს უხვათ გაუფანტია თვალსმარგალიტი. უთუოთ ზღვის ფერიებს ძვირფასი ქვებით ხავერდის მწვანე ხალი ნაზი ხელებით ფერადებათ მოუქარგიათ — ლალი,

ურმუხტი, იაგუნდი, მარგალიტი, ფირუზი და ალმას-ბრი-ლიანტი ცველა აქ მშვენიერებით გაჯიბრებულან, ეცილებიან, კრელებენ, სურათს ხიბლავენ. სიღიად-სიკელუცე ამ სა-კუცხოვო სურათისა წარმოსდგება არაბეთის ცხარე მზის თვალთ-ჯაჭვი სხივებისგან, რომელიც ზღვის ანკარა წყალში ამ ძვირ-ფასს, გრძნეულთა ხალს ოქროთი ჰფერავენ, ცეცხლს უკი-დებენ. მთლათ წალკოტი შვიდ ფეროვან სხივებით ინთებო-და, ბრწყინავდა, ცისარტყელა გამოჰკროდა, ელვარებდა; ამ ელექტრონის ძრიელ შუქზე ადვილათ გავარჩიე, რომ ეს ცირფასი ქვები ცველანი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა არჯნები იყვენ. მილიონობით მოსდებოდენ ხავერდივით რბილს ავსის მდელოს. სწორეთ მოგახსენოთ, ამ საოცარი სურათის ნახველი აღარაფრათ ვსთვლი იმ ზღაპრულ ჰესპერიდის ჭალკოტ-ბალებს, რომელთა აღწერითაც ისე ძრიელ გეხიბლავენ.

„მარჯანთა ედემში აუარებელი სხვა უულამაზესი ცხო-ჭელებიც ბუდობენ, ესენიც თავისებურათ ცოცხლობენ, ცხოვრობენ და დიდ მშვენიერ სურათს თავის უცნაურს ფორ-ა-მოყვანილობით და სილამაზით, უფრო ძრიელ აცხოვლე-ნენ. აგერ მთელი ხროვა საოცარ ნაკვთის, პაწია ჭრელი თევ-ხებისა რა გატაცებით, რა ეშხით დასრიალებენ მარჯნის წი-ოელ ბუჩქებთა შორის! ისე გეგონებათ კოპწია პეტელა-ჩიტე-ბი, კოლიბრები, დანავარდობენ ტროპიკულ ტურფა ცვავილ-თა შორისო. ამდენ ფერადების ბრწყინვალებამ დამღალა, თვალი ვეღარ უძლებს, ამოვიდოდი კიდევ, მაგრამ აგერ უფრო საყურადღებონი უხერხემლო ცხოველები, მარჯნის კუნძულზე ცხოვრებნი — ამათი მრავალ-ფერადობა ყოველივეს აღემატება. აგერ კიდევ ლამაზ-ლამაზი, პაწია ნათელა-კიბოები, რო-ჭელნიც გარნელთა ჯგუფს ეკუთვნიან — მოხდენილათ, კის-კასათ, ცქვიტათ დაცურაობენ მარჯნის. კუნწულთა შორის და თანაც ციცინათელასაებ ელექტრონით ანათებენ, აშუქე-ბენ. იქვე, აგერ უცქირეთ, მარჯნის კუნწულას მრავლათ ებლაუქებიან ხუთივ ხელით ცისფერი ოფიურები, შავი ძღარ-ები და აუარებელი წითელი ვარსკვლავები ზღვისა. ამათ გარდა, სად გინდა არა ჰყრიან ჭრელათ მოელვარე ღვრინ-ჭილა-ლოკოკინები, მაგრამ სრული აღწერა ჯერ კიდევ სად არი!.. ამათ რა ენა-პირი ასწერს!..

აგერ ზოგი აქეთაც მოიხედეთ — თეთრ მილებიდან ნაზათ, ნებიერათ გამოგცერიან ათას ფერი ჭია-მოლუსკები, რო-მელნიც თავის ჭრელ ლაყუჩებს სასუსნავისთვის აციმციმებენ.

აქვე დაცურაობს მთელი ქარავანი მედუზებისა და მათ შორის სრულებით მოულოდნელათ, ჩვენ შევნიშნეთ კეკლუ-ცი ზარი ერთის ჩვენის ძველი ნაცნობის აკალეფისა, რო-მელიც ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებში ცხოვრობს “...

— კნიაზ-ჯან! პარონებო, ეს ღმერთმა ადღეგრძელოს, დღე გძელი მისცეს თუ ცოცხალია და თუ მკვდარია ღმერთმა სასუფეველი დაუმჯგიდროს ი მეცნიერ ჰეკკელს, რომელიც რომა თავის ფეხით ზღვას ჩავიდა და მარჯნის კუნძულზე თა-ვის თვალით ედემი ნახა და ჩვენც გვასიამოვნა!...

— არა ბატონო ხაჩატურ, (პაი დალახვროს ღმერთმა, ე ღვინო საიდან და გამოატყვრინა!) ღვინით დღეგრძელობა არ იყოს! აგერ თვით მარჯნის ანკარა წყაროთი საგსე აზარფეშით გამარჯვება ვუსურვოთ მეცნიერებათა ყველა ქურუმს!

— კნიაზო! ე ხაჩატურ აღა, ალავერდი ჩემთან გადმოვი-და და ის კი არ ვიცი შესანდობარი დავლიოთ თუ სადღეგრ-ძელო!?. ი მეცნიერი ეხლაც ცოცხალია?

— ეგ სულ ერთია, ბატონო ჯავხელო, ჰეკკელისთანა მეცნიერი არას ღროს არა კვდება, გერმანიის შვილი ერნეს-ტი ჰეკკელი, ჩვენა დროის განთქმული ზოოლოგი, 1834 წელს დაიბადა, სწავლობდა 1852 წ. ბუნების მეტყველებას და სამკურნალო მეცნიერებას ვიურცბურგში, ბერლინში და ვენაში; ზოოლოგიურის მიზნით, ცხოველთა ცხოვრების შესაწავლათ, გამოსაკვლევათ მოგზაურობდა ჯერ ნიცუაში და ჰელმოლანდზე. მუშაობდა ნეაპოლში და მესსინაში. 1862 წ. გახდა პროფესორი იენის უნივერსიტეტისა. მეორეთ იმოვ-ზაურა მეცნიერულის მიზნით. შემოიარა ლისსაბონი, მადიერი, ტენერიფი, ჰიბრალტარი, ნორვეგია, სირია, ეგვიპტე, კორ-სიკა, სარდინია და ბოლოს ინდოეთშიაც გასწია, დაათვალი-ერა კუნძული ცეილონი. სადაც კი მივიდა ზღვა და ხმელე-თის ცხოველნი გამოუკვლეველი არ დასტოვა — ინახულა, გა-იცნო, შეისწავლა, ასწერა, გამოაქვეყნა. ჰეკკელის მიერ და-წერილი, დასტამბული წიგნები ერთს ოთხში ძლივს დაეტე-ვე, დიდი მიმდევარი იყო დარგინის თეორიისა.

— კნიაზო უქაცრავათ კი ვარ და მოგეხსენებათ „ყველა თავისას სჩიოდა, მენახირე ბუზანკალსაო“ ე ღმერთმა ყველა მეცნიერს გაუმარჯოს, ვინ არ არის მონატრული, მაგრამ მე ჩემსას ვჩივი, — სად შოულობენ მარჯანს და ან რა ფასშია ადგილობრივ.

— „ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავო და არა ღმერთმანიო“. ეს ანდაზაც ხო გადიგონია ხახამი!?. შენ მაინც შენსას არ იშლი, ეს მეორედ მეკითხები. შენ სულ ვაჭრულ არშინზე ზომავ და მოგების სასწორზე სწონავ ყველაფერს... მაგრამ დანიელ ბატონო, არც მაგისთვის გაგიტეხ ხათრს. ჰო და როს გორც მოგახსენეთ ნაშდვილი წითელი ცხოვრობს განსაკუთრებით ხმელთა შუა და ადრიატის ზღვებში. ღიღძალი მარჯანი ამოაქვსთ უფრო ხმელთა შუა ზღვიდან — მეტადრე ტუნისის და ალჯირის კიდეებთან. ხმელეთიდან (ნაპირიდან) რამდენიმე მილის სიშორეზე, მარჯანი ხვდება (ბუდობს) ზღვაში 40—100 საერნის სიღრმეზე. აქ უფრო მარჯვეთ მუშაობენ იტალიელები და თოთქმის რო განსაკუთრებით ესენი ადგიან ამ ხელობას. ცოტათ თუ ბევრათ ფრანგები და ისპანიელებიც მისდევენ მარჯანს მრეწველობას. ღიღძრონ ნავებით და ზოგჯერაც პატარა ორთქლ-მავალ ხომალიდებით შეცურდებიან ხოლმე ზღვაში და ბადეს ესვრიან. თუ ბადე მარჯანის ბუჩქს დაეცა, ოოტებს მოედება, ძირიანათ მოამტვრებს ხოლმე და ზევით ამოაქვსთ. მარჯნებს არ უყვართ არც ღრმათ ცხოვრება და არც ვაკეთ ზღვის ძირზე (პსკერზე). უფრო კლდეებს ამოეფარებიან ხოლმე, სადმე ამოლრუტნულ-ში და კიდეც რო ეს გარემოება აჭირებს საქმეს. ამიტომაც ჩვეულებრივი ბადე აქ არ ივარგებს. ბადეს ისე ნაირათ ოსტატურათ მართავენ — ჯვარედინათ ჯოხებით და თოკებით, — რომ კლდეს ქვეშიდანაც-კი ამოედოს და იქ მარჯანის ბუჩქი ან კუნწულა მოამტვრიოს. მაგრამ ახლა კიდეს ბადეს ამოლება აჭირებს საქმეს.

მუშაობა უფრო ზაფხულობით იციან. სიცე პაპანაქება-ში ზოგჯერ მთელი დღე წვალობს ოთხი-ხუთი მუშა და ოფლ-ში იწურება, ვიდრე ზღვიდან ბადეს ამოიტანენ. თუ ნავზე არიან — ხელით სწევენ ბადეს და თუ ხომალდზე — ჭახრაკებით ამოაქვთ.

ამოღებული ნანადირევი ყოველთვის ერთი ღირსებისა არ ხვდება.—ზოგის ძირი და ოოტიც ჭიანაჭამი გამოღება ხოლმე. ამის ფასი ძრიელ მდარეა, გირვანქა 1—3 მანეთათ იყიდება. ხოლო კარგი მარჯანი ღირს გირვანქა 7—12 მანეთამდე, ჟარჯნისა ფასდება სიმკვრივე და ფერი. ამიტომაც სანაქებო წითელი ანუ ვარდის ფერი, თანაც საკმაოთ მკვრივი და მსხვილი ნაჭრები ღირს გირვანქა 70—100 მანეთამდე, ზოგჯერაც გირვანქა ათ თუშანზე მეტს ფასობს—თუ მუშარს მოეწონა ფასს არ ერიდება, ოლონდ ლამაზი ფერი ჰქონდეს მარჯანს და რქისავებ მაგარი იყოს.

იშვიათათ ხვდება აგრეთვე შავი მარჯანი, ამის გირვანქა ფასობს 4—6 მანეთი. ჯერ დანამდვილებით არ არის გამოკვლეული რათ შავდება ხოლმე მარჯანი. მეცნიერთა მეტი ნაწილი იმ აზრს ემზრობა, რომ როდესაც შარჯანი დიდხანს ძევს ლამისა და ტინის ქვეშ, ამ გავლენის გამო შავდებაო, სხვა ფერის მარჯნებიც არიან, მაგრამ ამათ მუშარი არ ეტანება, ბაზარი არა აქვსთ. ხოლო მარჯნისა რა და რა სამკაული კეთდება ეგ ხო ყველამ იცით.

## VI.

მე ი ბუზი-ჭამისა მცენარის ჯავრი ჩამყვა. ყველანი ჭილა-ლელეს აყვევით. ზოგი ბალახი კიდეც მითომ მივამსგავსე, მაგრამ ვერაფერი ბოტანიკოსი გამოვდექი.

— მერე აქ რა უნდა ვიპოვოთ? თუ იზრდება ისევ *Droseria* უნდა იყოს, ცვარისას რო უძახიან, მაგრამ საეჭია მთაში, ამ სიმაღლეზე მცენარეობდეს—შეგვნიშნა ლექტორმა და განაგრძო—ხორცი-ჭამისა მცენარეთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა თქვენ რო ბუზი-ჭამისა დაასახელეთ, მაგრამ ის ჩრდილო ამერიკაში იზრდება და მეცნიერულათ ეწოდება *Dionaea misscipula* ანუ ბუზი-ჭუჭანა. ამას ბუსუსიანი ფოთლები დაკბილული აქვს და გარშემო სადგისმაგვანი კბილები უსსედს, მწერი რომ ფოთოლზე დააჯდება თუ არა, ბუსუსები ალელდებიან, გამოუშვებენ ლორწოს და წამსვე ფოთლის ორივე ნახვარი იკეცება, მაგრათ ბლუჯავენ მწერს, ის დაკბილული ადგილებიც ერთმანეთს ისე მჭიდროთ შეეყრებიან ხოლმე (კბილებსა და კბილებს შუა), რო მწერი ვერას გზით

ցոտոլով զեր გաեսնու, տաք զեղար դասլիցես, աելա կո յու տու տու մոքպաց սյրոնձաս, թիւրուս քամաս: Սիւրազս, սիւթնուս, լոռորթուտո եսնու, գանածազեց ճա ուց ուցուցեցս, Շյորցեցս եռլուց, հոցորը ծալլու լցուցու հեցս. ցատազդա პրուցսո, հաւ համ կյենքո կյունճա ծայիս մոյենարյա Շյեցա, Շյուլաձա ճա ացեր ցոտոլու ուց ցալու, ցագանշալա. եռլու ցամոցու թուլու ծայիս, եմըլու հոնիսո Շյանց ցամուուրուլու, ճա աւց, ցագանշլու ցոտոլու կալա ցելու աելա մեսցենձլու.

հոցորը զոյվու յս ամերուկյունու, եռլու հոյենիսաւ ոչու պար-ցեց համացնում ցարու եռուու-քամու մոյենարյ. մացալուտատ ազուրու տոյնդ ոցուց դրուշը (Drosera) անյ ցուրունա.. ամ մոյենարյս մրցալու ցոտոլուց օյցս, նիւց ցոտոլունց ճա ցարշեմու շսեցուն տացումիալու ծայսայցու, սաունաւ ցամուցնու, նիցումս լոռորթու, ամ լոռորթուուն ցոտոլունց քաֆու համ թիւրու ճաջուց ճա ու արա ցեխեցու լոռորթունց ցայցու, յիշեցեց. ճակերու միյերու պայլու մերուուն ծայսայցու ճա ուցու ցոտոլու ուց նածուրու սիսարշուլու ցագայեցու եռլումյ միյերու, ցուլշու ոյոնցեցն. ծայսայցու չորկալու քարծատ օյրիշեցու միյերու մոմիյաց լոռորթու, հոմելու ոյըրմենցուսաւ Շյուպաց. ոյըր-մենցու ցավլունու ուլուունու նոցուուրուցնու ծայիսու եռուուսու ուսենցունու ճա ամ ցարու Շյենչացեցուլու եռուուլու նոյեն ուցու միյերու աւ-զուատ Շյեցամս ճա մուրնեցու եռլումյ մոյենարյ.

Ժրուշը օգուլուտ ոնցուցու պայլունաու եռուուս, օց-րուց մոեսարշուլ կայրւենու ուլուս, հեցս ճա սեց...

մացրամ ածա սպացու օմաց ցոտոլունց նայուուս նամուցու անյ կյենքու ճացուցն... ա Շյենց ար մոմիկաց, պարսաւ ար ցա-ծերուց, արացրած հացացու եռուուսու հոցորը մոցաեսց-նցու մերուտ ճուզու մոյսայուսու.

— հոյենուու յց პորշելո ցացոնցեա ծաբոնո, հոմ ծա-լուես եռուուս սփամացու, ծացրամ հաւ սայուրցելու հյոմու ուցու մոնաեց օմաս կո շրտպարատ մոցաեսցեցն. յրուս նայ-ելուս ծոռշամի զմունաօնեցու ցելուույնուունու ծալմու, ոյ յրուո հոյենցեցու չացաեցու ծոյնու վլուուր մոջամօցուրու ուցա, պա-զուլցու հու սուռենուուտ ո հոյենցեցուրմա մոտերա: — ածա սանժրու, ու ծոյնու եար ճա ա ամ ցոտոլուցու եցլու աելցու. մյու ցուլու մոմուցու. հալաւ նաուրո ծալաես ուց, մոյնաս արւ կո աւցու-

ლებოდა რიგიანათ და ლიდრონი ფოთლები კი თითებივით გაეფრთხო, ოთხივე თითს წვრილ-წვრილი მოპირდაპირე ჰა-წია ფოთლები ესხა. ლობიოს ხეს, აკაციას ხო იცნობთ... ჰო და სწორეთ აკაციის ფოთლებს უგავს ფოთლები. ერთს პაწია ფოთოლს ხელი ოდნავ შევახე თუ არა, იმ წამსვე, ჰაი დიდება შენდა ღმერთო, მოჰყვენ ბატონო და ერთი რო და-იკეცა, მეორე ფოთოლიც იკეცებოდა, ასე მიჰყვენ და მთლათ ფოთლები ითხივე თითისა ერთმანერთს დაეხვივნ, დაი-კეცენ. მოელ ტოტს თითქოს ყინწი მოსტყდაო, წელი მოსწყდაო, მკვდარივით მიწაზე კი დაცა. ბიჭოს ექ არაფერ შარში არ გამრიონ ჰეთქი, მართლაც შემებშინდა. მაგრამ ღმერთმა უშ-ველოს ისევ ი ჩვენებურმა ბიჭმა გული გამიკეთა: ნურას იწუ-ხებ სანდრო, ეგ მცნარე დიდი ეშმაკია ე მაგრე იცისო—ნაზობს, მორცხვობსო. მითომ ხელი რათ მახლეთო. ცოტა ხანს მერე კი ისევ გადიშლებაო...


— მერე და ჯავახელო, სახელი ვერ დაიხსომე მაგ სა-კვირველ მცნარისა?

— ვერა ბატონო...

— ჰო, მაგას მიმოზა ჰერიან, მორცხვი მიმოზა (*Mimosa pudica*). მიმოზას სამშობლო სამხრეთი ამერიკა, უმთავრესათ კი ბრაზილია. ჩვენში და სხვა ცხელ ქვეყნებშიაც სათუთათ ბალებში ზრდიან და ცივ რუსეთში კი ფეხებიან თბილ შუა-ბანდებში. მიმოზას თავის სამშობლოში, ტროპიკულ ამერიკა ში ბევრი ნათესაობა ჰყავს — ბალახებათ, ბუჩქებათ და ხეებათ იზდებიან. შენთვის ერთი რამ არ უთქვაშს იმ მებაღეს: რო შებინდდება მიმოზაც ძილს დააბირებს, კველა ფოთლებს დაჰ-კეცავს ხოლმე და ისე მოელი ღამე სძინავს ვიდრე დილის შის შუქი სინათლე აო გამოალეიდებს. შესანიშნავია ერთი გვარი მიმოზაც, იქ თავის სამშობლოში ბუჩქათ იზდება და უსურ ვაზივით ხეებზე უყვარს აცოცება. ამას გიგოლობილს. უძანიან, ხესაებ მაგარი თესლი იცის საკვირველი სიდიდისა — ქათმის კვერცხის ოდენა.

(შემდეგი იქნება.)

**ილ. ალხაზიშვილი.**



# ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თოშა ალფა ედისონი).



გაგრძელება.

ედისონი თავისებურათ ექცეოდა მუშებს და თანაშემწეებს. ქვეყანაზე მგონი არ არი არც ერთი ისეთი ქარხანა, საღაც განსაზღვრული არ იყოს მუშაობის დრო, როდესაც ბევრი საქმე იყო, ან ახალი გამოგონება თხოულობდა ჩქარ ასრულებას ქარხანაში დღე და ღამ გაცხარებული მუშაობა იყო ხოლმე. მაშინ კი როცა საქმე არ იყო ყველა გულხელ დაკრეფილი დადიოდა. ედისონი რომ აღემისებობას მისდევნოდა, ნამდვილი ვაჭარი ყოფილიყო, საქმე ასე არ იქნებოდა დაყენებული. ის მუშების ამხანაგი იყო და თავის თანაშემწეების მეგობარი.

სიცოცხლით სავსე ყმაწვილი იყო და მხიარულობას ჰქონდა თავის გარშემო. როდესაც ედისონს საქმე მარჯვეთ მოუკიდოდა ის ქუდს მაღლა ისროდა, შუა ოთახში მოჰყვებოდა ცეკვას და მაშინ მისი მუშებიც ყმაწვილებიდან დაწყებული მოსუცემულებამდის, მისი თანაშემწეებიც მოჰყვებოდენ აღტაცებით მხიარულობას. ის იყო სულის და გულის ჩამდგმელი ამ საქმისა და როდესაც გული კარგათ მუშაობს, მაშინ მთელი აგებულებაც სიცოცხლით სავსეა.

საქმის კარგა წაყვანა თვით მუშებისოვისაც ხელსაყრელი იყო. მუშაობას ისინი ისე კი არ უყურებდენ, როგორც მხოლოთ ნამუშავრის ფულის იღებას — თვით საქმე მიაჩნდათ სასიამოვნოთ. ყოველივე დაბრკოლების აცდენა, ყოველივე გამარჯვება ედისონისა საყურადღებო და გასახარებელი იყო მისი მუშებისთვის, ისინი კისრულობდენ მეტ მუშაობას, თუ კი ხედავდენ, რომ საქმე მოითხოვს აჩქარებს.

ედისონმაც იცოდა სიკეთის სიკეთით გადახდა. უხვათ აჯილდოებდა თავის თანაშემწეებს, ახალისებდა მათ თავისი გენიოსური დაშუკობილობებით და დიდი თავის დაჭერით ზან

ერთს ენაძლიებოდა და ხან მეორეს, რომ საქმეს ასე აღვი-  
ლათ არ დააბოლოვებდენ. ამ გვარათ საქმე ჩქარა და მხია-  
რულათ კეთდებოდა, ყველა მუშები სიმღერით, სიცილით და  
სუმრობით მუშაობდენ.

ხშირათ ედისონთან მუშაობა წრიდან გადასული იყო:  
ერთხელ ქარხანას უნდა მოეშვადებინა აუარებელი ელექტრო-  
ნის მანქანები ოცდა ათი ათასი დოლარის საფასი. ორ კვი-  
რაზე შეკვეთილი საქმე შეასრულეს, მაგრამ რაღაც მიზეზით  
ახალი მანქანები არ მუშაობდენ. დანიშნულ დროზე ისინი უსა-  
თუოდ უნდა ჩაებარებინათ, არც ერთი წამით არ შეიძლებო-  
და დაგვიანება. ედისონმა ეს მანქანები მაშინვე გადაატაინა  
თავის ლაბორატორიაში, მიიხმო ყველა მცოდნენი და თანა-  
შემწენა, ჩაუკეტა გასაღებით კარები და შემდეგი ხიტყვებით  
მიმართა:

— ყური დამიგდეთ, ამხანაგებო! მე კარები ჩაგიკეტეთ და  
სანამ საქმეს არ უშეელით — ვერავინ ვერ გავა აქედან.

არავინ არ ეწინააღმდეგა, ყველამ მიჰყო ხელი მუშაობას  
და თავ-აულებლივ, თითქმის უჭმელ-უსმელი, უძილო, მთელი  
სამოცი საათი იმუშავეს; თვითონ ედისონსაც ერთი წუთიც  
არ შეუსვენია, მაგრამ სამოცი საათის შემდეგ მანქანები  
მშვენივრათ იყვენ მოწყობილნი — ამ ნაძალადევი მუშაობის შემ-  
დეგ ედისონს თითქმის ორი დღე და ღამე ეძინა და მერე  
ისევ ჩვეულებრივ მუშაობას დაადგა.

ამისთანა შეუსვენებლივ მუშაობამ ნიუ-არკში სამ წე-  
ლიწადს გასტანა. ამ დროის განმავლობაში ედისონმა აღმო-  
უჩინა ჭვეულიერებას ორი დღიდი შესამჩნევი გამოგონება: ერთი  
ავტომატიური ტელეგრაფი და მეორე კვადრუპლექს-ტელაგრა-  
ფი. ამავე დროს ედისონი მთლათ გატაცებული იყო ელექ-  
ტრონის გამოგონებით. ის დარწმუნდა, რომ საოცარი ელექ-  
ტრონის ძალა ცხოვრებაში ბევრ გვარათ გამოდგება და დაუ-  
სვენებლივ მუშაობდა. ერთ და იგივე დროს ორმოცდა ხუთ  
სხვა და სხვა გამოგონებაზე იკლავდა თავს. როგორც რომ  
ერთ საქმეს გაათავებდა — მაშინვე მეორეზე გადავიდოდა.

მისი თანა შემწენი გაკვირვებულნი იყვნენ ამ შეუჩერებელი  
მუშაობით და ეგონათ, რომ მის გამოგონებას ბოლო არ ექნე-  
ბოდა და იმ კანტორის უფროსმა, რომელიც ედისონს აძლევდა  
უფლებების მოწმობას ერთხელ წამოიძახა:

— მგონი ამ ყმაწვილ კაცს თავის დღეში არ დაავიწყდება ჩვენი კანტორის გზა.

ამ გენიოსმა კაცმა მართლაც გაამართლა ეს წინასწარმეტყველობა.

მალე ედისონი იმ დასკვნას დაადგა რომ ერთ და იგივე დროს ძალიან გასაჭირია რომ მანქანების გამოგონებელი მე-ქარხნეც იყოს, როდესაც რომელიმე გამოგონება გაიტაცებდა მას, მაშინ ამას ქარხანა მიავიწყდებოდა და დიდ ზარილს ხე-დავდა; თანაც იტყობდა თავს, რომ კვლავ ვეღარ შესძლებს ამოდენა მუშაობას.

ამასთანავე ედისონი ბევრ დროს ჰკარგავდა აუარებელ ცნობის მოყვარე ხალხზე, რომელნიც ქარხნის გასასინჯავათ ყოველ წამს შემოდიოდენ.

ის სულ იმ ფიქრში იყო ამას იქით როგორ ეშველა სა-ქმისთვის. ბოლოს გადასწყვიტა, რომ მხოლოთ იმ საქმეს და-დგომოდა, რომელიც მას უყვარდა და ეხალისებოდა. ხოლო თავის გამოგონებებს მისდევნოდა, რომელნიც მას სახსრის მოსაპოებლათაც სახეირო იყო. თუმცა მას ყოველთვის ბლო-ბათ ჰქონდა შემოსავალი, მაგრამ ხელში დიდხანს არაფერი შერჩებოდა, სულ ახალ-ახალ გამოკვლევებს ან წომებდა.

ედისონი სრულებითაც ფულის მოყვარული არ იყო, მაგრამ გამოკვლევებები უჯდებოდა დიდი ფული! ერთ გრძ-საც ვერ გადაარჩენდა ხოლმე და ამიტომ არჩია ქარხანა თავიდან მოეშორებინა.

ამ მიზნით ის გადავიდა მენლო-პარკში, ნიუ-ორკიდან 40 კილომეტრის სიშორეზე. სამი წლის დაუსვენებლივი მუ-შაობის შემდეგ ნიუ-არკში მან მიიღო სრული მოგება ოთხა-სი ათასი დოლარი. ამ ფულით მან იყიდა დიდი ადგილი, გამართა უშველებელი ლაბორატორია და შეამკო ყოველ გვა-რი ახალი იარაღებით და მანქანებით.

დიდი დარბაზი, რომელსაც ასი ფუტი მეტი სიგრძე ჰქონდა და ოცდა ათზე მეტი სიგანე მთლათ გავსილი იყო სახარატო დარგებით, იარაღებით, როგორიც კი საჭირო იყო დახელოვნებული მეხანიკისთვის. ყველა ეს იარაღები ორთქ-ლის ძალით მოღიოდა მოძრაობაში.

ედისონმა არ დაივიწყა მოეწყო აქ მშვენიერი ბიბლიო-

თეკა — საშეკითხველო. აგრეთვე მის დასახასიათებლათ უნდა ვთქვათ, რომ მან თავის ლაბორატორიაში დაადგმევინა საუკუთხესო არღანი და სხვა საკრავები. მისი აზრით კაი მუსიკა კარგათ მოქმედობს ხოლმე მომუშავებზე, ახალისებს მათ კვლავ სამუშავოთ. მართლაც, როგორც კი შეატყობდა ედისონი, რომ მუშები მოილავენ, მაშინვე მომართავდა ერთ ერთ საკრავს. მუშები ერთ წამს გამოცოცხლდებოდენ და საქმეს დიდი ხალისით განაგრძობდენ.

1876 წელს ედისონი გადავიდა მენლო-პარკში. მას გაპუვა დიდი ძალი გამოიტენილი ტეხნიკისები, თანამშრომლები, აუარებელი კარგი მცოდნენი თავიანთი ხელობისა.

ყველაზე გამოჩენილი მისი თანაშემწევი იყო ინგლისელი ჩარლზ ბეშლორი, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში მოუშორებლივ ედისონთან ერთათ მუშაობდა. ეს კაცი არა თუ დიდი მცოდნე იყო — აღებ-მიცემობის საქმის დაყენება ძალიან კარგათ იცოდა და ედისონს დიდი სარგებლობაც მოუტნა.

სხვა მისი თანაშემწენიც კაი მცოდნენი და დიდი ნიჭის პატრონნი იყვენ, შეეძლოთ სხვაგანაც ეჩინათ თავი, მაგრამ ამ გენიოს ამხანაგს და მეგობარს არ შორიდებოდენ.

ყველას მათგანს კაი ჯამაგირი ჰქონდათ. ამ მხრივ ედისონი ძალიან ხელ გაშლილი იყო. ჩარლ ბეშლორს ჯამაგირის გარდა კიდევ ყოველ გამოგონებაზე წილი ედო.

მენლო-პარკის ლაბორატორიაში უცხოს აკრძალული ჰქონდა შესვლა. კარის კაცს სასტიკათ ნაბრძანები ჰქონდა და ისიც თავის მოვალეობას მტკიცეთ ასრულებდა. არავის არ გააჭარბებდა ახლოს. ამის გამო ათასს გვარ უცნაურ ზღაპრულ ამბებს ავტოცენტრებდენ ამ ლაბორატორიაზე. ზოგჯერ გაზეთებშიაც სწერდენ ახალ დროის ფაუსტზე, მენლო-პარკის თვალთ-მაქეცხბაზე. ედისონის ლაბორატორია ყველას თვალში წარმოადგენდა რაღაც ჯადოქარის ბინას, საღაც ადვილათ შეიძლებოდა ბუნების კანონების შეცვლა.

ათის წლის განმავლობაში მენლო-პარკში ზღაპრული სისტრაფით ერთ გამოგონებას მისდევდა მეორე გამოგონება. მთელ ქვეყნიერებაზე მოედო ედისონის სახელი. ტელეგრაფის მავრულები ქებას ასხამდენ, ელექტრონის მანქანები დიდებას უძლვნიდენ, აღამიანის ხმით ფონოგრაფები ყოველ ნაბიჯზე

მის სახელს მთელ ქვეყნიერებას ამცნევდენ.

უკველ მსოფლიო გამოფენაზე ედისონის გამოგონებული მანქანები უკველს აკვირვებდა. გამოფენის განყოფილება, სადაც ეწყო. მისი საოცარი მანქანები და ელექტრონის იარაღები თანდათან დიდ ადგილს იჭრდა. აუარებელი ოქრო და დიდება შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა მენლო-პარკში.

თითქოს მოვას ერთი ჯოხის მოქნევით ედისონს უკველა-ეს წინ გადაეშალა.

1869 წელს თომა ედისონი, ჯერ კიდევ სულ ყმაწვილი, უკველა სთვის უცნობი ტელეგრაფისტი დახეტიალობდა უგროშოთ ნიუ-იორკის ქუჩებში. უკველა დასკინოდა მას, ყურს არც კი უგდებ-დენ მის ლაპარაკს, მან არ იცოდა თავი სად შეეფარებინა, ან რითი გამოკვებულიყო. გავიდა ათი წელიწადი და ედისო-ნი გახდა მთელ ქვეყანაზე განთქმული გამოგონებელი, მილ-ლიონერი, რომელსაც ეკუთვნოდა უშველებელი ლაბორატო-რია; გენიოსი, რომლის ხელქვევით მუშაობდენ სახელგანთქ-მულნი მეცნიერნი.

ადამიანმა შეიძლება გაიფიქროს, რომ ედისონს ბედი სწალობდა!..

მაგრამ საქმე აგრე არ იყო: ედისონს ოქროები თავის თავათ ხელში არ უვარდებოდა. მან დიდი ბრძოლით და გა-კირვებით დაიმსახურა ეს საპატიო ადგილი. ყოველ ახლ გა-მოგონებას მოსდევდა ათასგვარი დაბრკოლებები. უძილო დღე-ლამები, ზოგჯერ თვეებიც კი, საშინელი აუტანელი შრომა, გაჭირვება, მაგრამ მაინც ბოლომდის გაჭქონდა საქმე. თავის გან-ზრახვის ასრულებასთვის არაფერი არ მიაჩნდა შეუძლებელად.

როგორც სხვა სახელგანთქმულ მემამულეთა თვისნებო-ბა მისიც რკინით იყო შექედილი, აზრები ბროლივით გამ-ჭვრეტი, მაგრამ გული ჰქონდა ყმაწვილივით სპერაკი და ჩი-ლი. მისი მოგებული ფული, მისი შეძენილი დიდება სუფთა და ხელშეუხებელი იყო.

შემდეგ აგიწერთ, როგორ გაიარა ათი წლის განმავლო-ბაში ედისონმა ეკლიანი, მძიმე გზა, რომელმაც ბოლოს მია-ნიჭა სრული დიდება და ზელნიერება.

(შემდეგი იქნება)